

ალექსის დე ტოკვილი

დემოკრატია ამერიკაში

ფრანგულიდან თარგმნა
დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიამ

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი

2011

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტი

Grigol Robakidze University
Institute of Philosophy and Social Sciences

ალექსის დე ტოკვილი: დემოკრატია ამერიკაში

ფრანგულიდან თარგმნა: პროფ. დოდო ლაბუჩიძე-ხოფერია

სამეცნიერო რედაქტორები: პროფ. თენგიზ ირემაძე

პროფ. ლალი ზაქარაძე

ასისტ.-პროფ. გიორგი თავაძე

დაკაბადონება და ყდის დიზაინი: გიორგი ბაგრატიონი

Alexis de Tocqueville: Democracy in America

Translated from the French by Prof. Dr. **Dodo Labuchidze-Khoperia**

Edited by

Prof. Dr. **Tengiz Iremadze**

Prof. Dr. **Lali Zakaradze**

Assistant Prof. **Giorgi Tavadze**

Layout, cover design: **Giorgi Bagrationi**

Alexis de Tocqueville: De la démocratie en Amérique

Traduction géorgienne par Prof. Dr. **Dodo Laboutchidzé-Khopéria**

Publié sous la direction de

Prof. Dr. **Tenguize Iremadzé**

Prof. Dr. **Lali Zakaradzé**

Assistant Prof. **Guiorgui Tavadzé**

Couverture et mise en page: **Guiorgui Bagrationi**

© გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტი

© Grigol Robakidze University, Institute of Philosophy and Social Sciences

© გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011

© Grigol Robakidze University Press, 2011

ISBN 978-9941-9174-2-4

სარჩევი

წინათქმა	9
მთარგმნელის წინასიტყვაობა	11
ნიგნი პირველი	15
შესავალი	16
ნაწილი პირველი	25
თავი I: ჩრდილოეთ ამერიკის გარე მოხაზულობა	28
თავი II: როგორ აისახა ანგლო-ამერიკელთა დასაბამი მათსავე მომავალზე	34
ანგლო-ამერიკელთა კანონებისა და ჩვეულებების ზოგიერთი თავისებურების მიზეზები	46
თავი III: ანგლო-ამერიკელთა სოციალური მდგომარეობა	48
ანგლო-ამერიკელთა სოციალური მდგომარეობის გამოკვეთილი თავისებურება	
ძირითადად დემოკრატიულობა	48
ანგლო-ამერიკელთა სოციალური წყობის პოლიტიკური შედეგები	53
თავი IV: ხალხის სუვერენიტეტის პრინციპი ამერიკაში	54
თავი V: კავშირის მმართველობის განხილვამდე აუცილებელია იმის შესწავლა,	
რაც ხდება ცალკეულ შტატში	56
სათემო სისტემა ამერიკაში	56
კომუნის სიდიდე	57
სათემო ხელისუფლება ახალ ინგლისში	58
კომუნის ექსისტენცია	59
კომუნის სულისკვეთება ახალ ინგლისში	61
ახალი ინგლისის ოლქი	63
ახალი ინგლისის მართვა-გამგებლობა	64
ზოგადი მოსაზრებები შეერთებული შტატების მმართველობაზე	71
შტატი	73
შტატის საკანონმდებლო ხელისუფლება	74
შტატის აღმასრულებელი ხელისუფლება	75
ადმინისტრაციული დეცენტრალიზაციის პოლიტიკური შედეგები ამერიკის შეერთებულ შტატებში	75
თავი VI: შეერთებული შტატების სასამართლო ხელისუფლება და მისი გავლენა პოლიტიკურ წყობაზე	84
ამერიკელ მოსამართლეთა სხვა უფლებები	88
თავი VII: პოლიტიკური სასამართლო ამერიკის შეერთებულ შტატებში	90
თავი VIII: ფედერალური კონსტიტუცია	94
ფედერალური კონსტიტუციის ისტორია	94
ფედერალური კონსტიტუციის ზოგადი სახე	95
ფედერალური მთავრობის განსაკუთრებული უფლებები	96
ფედერალური ხელისუფლებები	98
საკანონმდებლო ხელისუფლება	98
კიდევ ერთი განსხვავება სენატსა და წარმომადგენელთა პალატას შორის	100
აღმასრულებელი ხელისუფლება	100
რით განსხვავდება შეერთებული შტატების პრეზიდენტის მდგომარეობა	

საფრანგეთის კონსტიტუციური მონარქის მდგომარეობისაგან	101
აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენის გამაძლიერებელი შემთხვევითი მიზეზები	104
რატომ არ საჭიროებს შეერთებული შტატების პრეზიდენტი თავისი მოვალეობის აღსასრულებლად საკანონმდებლო პალატების უმრავლესობის მხარდაჭერას	105
პრეზიდენტის არჩევა	105
არჩევნების წესი	108
საარჩევნო კრიზისი	110
პრეზიდენტის ხელახალი არჩევა	111
ფედერალური სასამართლოები	113
ფედერალურ სასამართლოთა კომპეტენციის დადგენის წესი	116
იურისდიქციის სხვადასხვა საქმე	117
სასამართლო პროცესის წარმართვის წესი ფედერალურ სასამართლოებში	120
სახელმწიფოს უმაღლეს ხელისუფლებათა შორის უზენაესი სასამართლოს მაღალი მდგომარეობა ...	122
ფედერალური კონსტიტუციის უპირატესობა შტატების კონსტიტუციებთან შედარებით	123
რა განასხვავებს ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციას ყველა სხვა ფედერალური კონსტიტუციისაგან	126
ფედერალური სისტემის უპირატესობები ზოგადად და მისი საგანგებო მნიშვნელობა ამერიკისათვის	128
ის, რის გამოც ფედერალური სისტემა ხელმიუწვდომელია ყველა ხალხისათვის და რამაც შეაძლებინა მისი მიღწევა ანგლო-ამერიკელებს	132

ნაწილი მეორე 139

თავი I: როგორ შეიძლება გადაჭრით იმის თქმა, რომ შეერთებულ შტატებში ხალხია მმართველი 141

თავი II: პარტიები შეერთებულ შტატებში 142
რა დარჩა არისტოკრატიული პარტიიდან

თავი III: პრესის თავისუფლება შეერთებულ შტატებში 147

თავი IV: პოლიტიკური ასოციაცია შეერთებულ შტატებში 153

თავი V: დემოკრატიული მმართველობა ამერიკაში 158

საყოველთაო არჩევნები

ხალხის არჩევანი და ამერიკული დემოკრატიის ინსტინქტები მის არჩევანში

მიზეზები, რომელთაც ნაწილობრივ ძალუძთ დემოკრატიისათვის

ნიშანდობლივი ინსტინქტების შესწორება

ამერიკული დემოკრატიის ზეგავლენა საარჩევნო კანონებზე

საჯარო მოხელეები ამერიკული დემოკრატიის ბატონობის პირობებში

მაგისტრატთა თვითნებობა ამერიკული დემოკრატიის ბატონობის პირობებში

ადმინისტრაციული არასტაბილურობა შეერთებულ შტატებში

სახელმწიფო გადასახადები დემოკრატიული მმართველობის მქონე ამერიკაში

ამერიკული დემოკრატიის ინსტინქტები სახელმწიფო მოხელეთა ხელფასის დადგენისას

გარკვეულ მიზეზებთან დაკავშირებული სირთულე, რაც

ამერიკის მთავრობას მომჭირნეობისაკენ უბიძგებს.....

შეიძლება თუ არა შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის სახალხო ხარჯების ურთიერთშედარება ...

მმართველთა კორუფცია და მანკიერებები დემოკრატიულ მმართველობაში,

როგორ მოქმედებს ეს სახალხო ზნეობაზე

რა ძალისხმევის უნარი აქვს დემოკრატისს

ძალაუფლება, რომელსაც ზოგადად ახორციელებს ამერიკის დემოკრატია

საკუთარ თავთან მიმართებით

როგორ წარმართავს სახელმწიფო საგარეო საქმეებს ამერიკული დემოკრატია

თავი VI: რეალური უპირატესობები, რომელთაც იღებს ამერიკული საზოგადოება დემოკრატიული მმართველობიდან	183
დემოკრატიული მმართველობის კანონთა ზოგადი ტენდენცია ამერიკაში და მათ განმარტებულ ბუნება	183
სახალხო სულისკვეთება შეერთებულ შტატებში	186
უფლებათა იდეა შეერთებულ შტატებში	188
კანონის პატივისცემა შეერთებულ შტატებში	189
შეერთებული შტატების პოლიტიკური კორპუსის ყველა ნაწილში გამოყენებული აქტივობა და მისი ზემოქმედება საზოგადოებაზე	191
თავი VII: უმრავლესობის ყოვლისშემძლეობა შეერთებულ შტატებში და მისი შედეგები	194
როგორ აძლიერებს უმრავლესობის ყოვლისშემძლეობა ამერიკაში კანონმდებლობისა და მართვის არასტაბილურობას, რაც ბუნებრივია დემოკრატიული ქვეყნებისათვის	196
უმრავლესობის ტირანია	197
უმრავლესობის ყოვლისშემძლეობის ზეგავლენა ამერიკელ საჯარო მოხელეთა თავნებობაზე	199
ზემოქმედება რომელსაც უმრავლესობა ახორციელებს აზროვნებაზე ამერიკაში	199
როგორ აისახება უმრავლესობის ტირანია ამერიკელთა ეროვნულ ხასიათზე. კარის სულისკვეთება შეერთებულ შტატებში	201
უმრავლესობის ყოვლისშემძლეობიდან მომდინარე ყველაზე დიდი საფრთხე ამერიკის რესპუბლიკისათვის	203
თავი VIII: რა ზღუდავს უმრავლესობის ტირანიას შეერთებულ შტატებში.	
ადმინისტრაციული ცენტრალიზაციის არარსებობა	205
კანონიერების სულისკვეთება შეერთებულ შტატებში, რომელიც დემოკრატიას აწონასწორებს	206
შეერთებულ შტატებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მიჩნეულია პოლიტიკურ ინსტიტუტად	211
თავი IX: შეერთებულ შტატებში რესპუბლიკის შენარჩუნების ხელშემწყობი არსებითი მიზეზები	216
შემთხვევითი თუ განგებისმიერი მიზეზები, რომლებიც ხელს უწყობენ დემოკრატიული რესპუბლიკის შენარჩუნებას შეერთებულ შტატებში	216
კანონთა ზეგავლენა დემოკრატიული რესპუბლიკის შენარჩუნებაზე შეერთებულ შტატებში	222
ადათ-ნესების ზეგავლენა დემოკრატიული რესპუბლიკის შენარჩუნებაზე შეერთებულ შტატებში	223
რელიგია, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტი, რა სიძლიერით უწყობს ხელს დემოკრატიული რესპუბლიკის შენარჩუნებას ამერიკელებში	223
ზეგავლენა, რასაც არაუშუალოდ ახდენენ რელიგიური რწმენები შეერთებული შტატების პოლიტიკურ საზოგადოებაზე	225
რელიგიის სიძლიერის ძირითადი მიზეზები ამერიკაში	228
როგორ უწყობს ხელს ამერიკელთა განათლება, ჩვევები და პრაქტიკული გამოცდილება დემოკრატიული ინსტიტუტების წარმატებას	233
შეერთებულ შტატებში ბუნებრივ პირობებზე მეტად კანონები უწყობენ ხელს რესპუბლიკური დემოკრატიის განმტკიცებას, ხოლო – კანონებზე მეტად ადათ-ნესები	236
ამერიკის გარდა სხვაგანაც იკმარება კანონები და ადათ-ნესები დემოკრატიული ინსტიტუტების შესანარჩუნებლად?	238
ზემოთქმულის მნიშვნელობა ევროპისათვის	240
თავი X: რამდენიმე მოსაზრება ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე მცხოვრები სამი რასის ამჟამინდელ მდგომარეობასა და შესაძლო მომავალზე	244
კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებ ინდიელ ტომთა ამჟამინდელი და სავარაუდო მომავალი	247
შავკანიანთა რასის ადგილი შეერთებულ შტატებში; რით ემუქრება მისი ყოფნა თეთრკანიანებს	259
რა შანსები აქვს ამერიკის კავშირის ხანგრძლივობას და რა საფრთხეები ემუქრება მას	275
რესპუბლიკური ინსტიტუტები შეერთებულ შტატებში. როგორია მათი ხანგრძლივობის შანსები?	296
ზოგიერთი მოსაზრება ამერიკის შეერთებული შტატების კომერციული ძლიერების მიზეზებზე	300
დასკვნა	305

ნიგნი მეორე	309
ავტორის გაფრთხილება	310
ნაწილი პირველი	
დემოკრატიის ზეგავლენა შეერთებული შტატების ინტელექტუალურ ცხოვრებაზე	313
თავი I: ამერიკელთა აზროვნების ფილოსოფიური ლოგიკა	314
თავი II: დემოკრატი ხალხების შეხედულებათა ძირითადი წყარო	318
თავი III: თუ რატომ ავლენენ ამერიკელები, ინგლისელ წინაპრებთან შედარებით, უფრო მეტ უნარს და მიდრეკილებას ზოგადი იდეების მიმართ	321
თავი IV: რატომ არ ეკიდებოდნენ ზოგად იდეებს პოლიტიკის სფეროში ამერიკელები ისეთივე გატაცებით, როგორც ფრანგები	324
თავი V: როგორ იყენებს რელიგია დემოკრატიულ ინსტიტუტებს შეერთებულ შტატებში	325
თავი VI: კათოლიციზმის პროგრესი შეერთებულ შტატებში	331
თავი VII: რატომ არიან დემოკრატი ხალხები მიდრეკილნი პანთეიზმისაკენ	332
თავი VIII: თანასწორობა – ამერიკელებისათვის ადამიანის უსაზღვრო სრულქმნის აზრის შთამაგონებელი ...	333
თავი IX: თუ რატომ არ მოწმობს ამერიკელთა მაგალითი, რომ დემოკრატ ხალხს ვერ ექნება სწრაფვა მეცნიერებების, ლიტერატურისა და ხელოვნებისაკენ და ვერც მათი ათვისების უნარი	335
თავი X: რატომ ინტერესდებიან ამერიკელები მეცნიერებათა პრაქტიკული და არათეორიული მნიშვნელობით	339
თავი XI: რა მიზნით ინტერესდებიან ამერიკელები ხელოვნებით	344
თავი XII: რატომ აგებენ ამერიკელები პატარა და დიდ ნაგებობებს ერთდროულად	348
თავი XIII: ლიტერატურული ცხოვრება დემოკრატიულ საუკუნეებში	349
თავი XIV: ლიტერატურული ინდუსტრია	353
თავი XV: რატომაა განსაკუთრებით სასარგებლო ბერძნული და ლათინური ლიტერატურის შესწავლა დემოკრატიულ საზოგადოებაში	354
თავი XVI: როგორ შეცვალა ამერიკულმა დემოკრატიამ ინგლისური ენა	356
თავი XVII: დემოკრატი ხალხების პოეზიის ზოგიერთი წყარო	361
თავი XVIII: რატომ გამოირჩევიან ამერიკელი მწერლები და ორატორები მაღალფარდოვნებით	365
თავი XIX: რამდენიმე მოსაზრება დემოკრატი ხალხების თეატრალური კულტურის შესახებ	366
თავი XX: დემოკრატიული ეპოქის ისტორიკოსებისათვის დამახასიათებელი ზოგი ტენდენცია	370
თავი XXI: საპარლამენტო მჭევრმეტყველება შეერთებულ შტატებში	373
ნაწილი მეორე	
დემოკრატიის ზეგავლენა ამერიკელთა გრძნობებზე	377
თავი I: რატომ იჩენენ დემოკრატიული ქვეყნის ხალხები უფრო მეტად მგზნებარე სიყვარულს თანასწორობის მიმართ, ვიდრე თავისუფლების მიმართ	378
თავი II: ინდივიდუალიზმი დემოკრატიულ ქვეყნებში	381

თავი III: როგორ ხდება ის, რომ ინდივიდუალში დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ უფრო ჭარბობს, ვიდრე სხვა დროს	383
თავი IV: როგორ ებრძვიან ამერიკელები ინდივიდუალის თავისუფალი ინსტიტუტების მეშვეობით	384
თავი V: იმ ჩვევის შესახებ, რომელსაც ასოციაციისაგან ამკვიდრებენ ამერიკელები სოციალურ ყოფაში	387
თავი VI: კავშირი ასოციაციებსა და პრესას შორის	390
თავი VII: მიმართებები სამოქალაქო და პოლიტიკურ ასოციაციებს შორის	392
თავი VIII: თუ როგორ ებრძვიან ამერიკელები ინდივიდუალის კეთილდღეობის შესახებ მოძღვრების მართებულად გაგებით	396
თავი IX: თუ როგორ იყენებენ ამერიკელები მოძღვრებას სწორად გაგებული ინტერესის შესახებ რელიგიის სფეროში	399
თავი X: ამერიკელთა სწრაფვა მატერიალური კეთილდღეობისაკენ	401
თავი XI: მატერიალურ სიამეთაღმი სიყვარულის სპეციფიკური შედეგები დემოკრატიულ ეპოქებში	403
თავი XII: რატომ ავლენს ზოგი ამერიკელი ესოდენ ეგზალტირებულ სულიერებას	405
თავი XIII: რატომ იჩენენ ამერიკელები თავიანთი კეთილდღეობისადმი ესოდენ დაუდგრომლობას	406
თავი XIV: თუ რა კავშირშია მატერიალური კეთილდღეობისადმი ამერიკელთა სწრაფვა თავისუფლების სიყვარულსა და საზოგადო საქმეებზე ზრუნვასთან	409
თავი XV: თუ როგორ წარმართავენ დროდადრო რელიგიური რწმენები ამერიკელთა სულს არამატერიალური სიამეებისაკენ	411
თავი XVI: თუ როგორ შეიძლება ავნოს კეთილდღეობისადმი უზომო სიყვარულმა თავად კეთილდღეობას	415
თავი XVII: თუ რაოდენ აუცილებელია თანასწორობისა და ეჭვის დროს ადამიანის ქმედებათა ობიექტის უკანა პლანზე გადაწევა	416
თავი XVIII: რატომ სცემენ პატივს ამერიკელები ყველა კეთილსინდისიერ პროფესიას	418
თავი XIX: რა განაპირობებს თითქმის ყველა ამერიკელის სწრაფვას ინდუსტრიული პროფესიებისადმი	420
თავი XX: თუ როგორ ქმნის არისტოკრატია მრეწველობას	423

ნაწილი მესამე

დემოკრატიის ზეგავლენა საკუთრივ ზნე-ჩვეულებებზე	427
თავი I: როგორ ხდება ზნე-ჩვეულებათა შერბილება საარსებო პირობათა თანაწილობის კვალობაზე	428
თავი II: როგორ ამარტივებს და აადვილებს დემოკრატია ამერიკელთა ჩვეულ ურთიერთობებს	432
თავი III: ამერიკელები რატომ არ არიან ისე მგრძნობიარენი თავიანთ ქვეყანაში და რატომ იჩენენ ესოდენ მგრძნობიარობას ჩვენს ქვეყანაში	434
თავი IV: წინა სამი თავიდან გამომდინარე დასკვნები	437
თავი V: როგორ უცვლის სახეს დემოკრატია მსახურსა და ბატონს შორის არსებულ მიმართებებს	438
თავი VI: როგორ ამალეებენ ფასებს და ამცირებენ მიწის იჯარის ვადას დემოკრატიული ინსტიტუტები და ზნე-ჩვეულებები	444
თავი VII: დემოკრატიის ზეგავლენა ხელფასის ოდენობაზე	446
თავი VIII: დემოკრატიის ზეგავლენა ოჯახზე	448
თავი IX: ყმანვილ ქალთა აღზრდა შეერთებულ შტატებში	452
თავი X: როგორ იძენს ახალგაზრდა გოგო მეუღლის ნიშან-თვისებებს	454
თავი XI: თუ როგორ უწყობს ხელს საარსებო პირობების თანასწორობა ზნე-ჩვეულებათა შენარჩუნებას ამერიკაში	456

თავი XII: როგორ ესმით ამერიკელებს თანასწორობა მამაკაცსა და ქალს შორის	461
თავი XIII: თანასწორობა როგორ ბუნებრივად ანაწილებს ამერიკელებს უამრავ პატარ-პატარა კერძო საზოგადოებად	464
თავი XIV: რამდენიმე რეფლექსია ამერიკელთა მანერების შესახებ	466
თავი XV: რატომ არ უშლის ხელს ამერიკელებს თავიანთი სიღინჯე ხშირად მოუფიქრებელ მოქმედებაში	469
თავი XVI: რატომაა ამერიკელთა ეროვნული პატივმოყვარეობა უფრო დაუდგარი და ჭირვეული, ვიდრე ინგლისელების	471
თავი XVII: რატომ ჩანს შეერთებული შტატების საზოგადოებრივი ცხოვრება ერთსა და იმავე დროს დაუცხრომელი და მონოტონურიც	473
თავი XVIII: [როგორ ესმით] ღირსების გრძნობა შეერთებულ შტატებში და დემოკრატიულ ქვეყნებში	475
თავი XIX: რატომ არის ამერიკის შეერთებულ შტატებში საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის მქონე ესოდენ ბევრი ადამიანი და ასე ცოტა ნამდვილი ამბიციის მქონე ადამიანი	484
თავი XX: დემოკრატ ხალხებში შემოსავლიან ადგილთა მაძიებლების შესახებ	489
თავი XXI: რატომ გახდება დიდი რევოლუციები იშვიათი	491
თავი XXII: რატომ სურთ დემოკრატ ხალხებს ბუნებრივად მშვიდობა, ჯარებს კი – ომი	500
თავი XXIII: დემოკრატიულ [ქვეყნის] ჯარებში რომელი კლასის წარმომადგენლები არიან ყველაზე მეტბოლნი და რევოლუციურნი	505
თავი XXIV: რატომ არიან დემოკრატიული ქვეყნის ჯარები სხვებზე სუსტნი საბრძოლო მოქმედებათა დაწყებისას და სულ უფრო საშიშნი ომის მსვლელობის დროს	508
თავი XXV: დისციპლინა დემოკრატიული ქვეყნების ჯარებში	511
თავი XXVI: რამდენიმე მოსაზრება ომის შესახებ დემოკრატიულ საზოგადოებებში	512
 ნაწილი მეოთხე	
დემოკრატიული იდეებისა და გრძნობების ზეგავლენა პოლიტიკურ საზოგადოებაზე	517
თავი I: თანასწორობა მოქალაქეებში იწვევს ბუნებრივ სწრაფვას თავისუფალი ინსტიტუტებისადმი	519
თავი II: მმართველობის შესახებ დემოკრატ ხალხთა იდეები ბუნებრივად ხელს უწყობს ხელისუფლებათა კონცენტრაციას	520
თავი III: იმის შესახებ, რომ დემოკრატ ხალხთა გრძნობები შეესაბამება მათ იდეებს ხელისუფლების კონცენტრაციის თაობაზე	522
თავი IV: იმ განსაკუთრებული და შემთხვევითი მიზეზების შესახებ, რომლებიც წარმართავენ ან აბრკოლებენ დემოკრატი ხალხების სვლას ხელისუფლების ცენტრალიზაციისაკენ	525
თავი V: მიუხედავად თავად სუვერენთა ნაკლებ სტაბილური მდგომარეობისა, თანამედროვე ევროპულ სახელმწიფოებში სუვერენული ხელისუფლება ძლიერდება	529
თავი VI: რა სახის დესპოტიზმი უნდა აშინებდეს დემოკრატ ხალხებს	537
თავი VII: წინა თავების გაგრძელება	541
თავი VIII: ზოგადი შენიშვნები	547
ავტორისეული შენიშვნები	551
სარედაქციო შენიშვნები	573
სახელთა საძიებელი	585

წინათქმა

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტი პოლიტიკური მეცნიერებების ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი წარმომადგენლის, დიდი ფრანგი მოაზროვნის, ალექსის დე ტოკვილის (1805-1859) საყოველთაოდ განთქმული ნაშრომის – „დემოკრატია ამერიკაში“ – ქართულ თარგმანს სთავაზობს მკითხველს. ამიერიდან შესაძლებლობა გვაქვს მშობლიურ ენაზე გავეცნოთ მსოფლიო პოლიტიკური აზროვნების ამ ერთ-ერთ ყველაზე ვრცელ და მნიშვნელოვან ქმნილებას, რომლის ქართული თარგმანი შეასრულა ამავე უნივერსიტეტის პროფესორმა, ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტის ფილოსოფიური და სოციოლოგიური აზრის თარგმანის განყოფილების გამგემ, დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიამ.

გამოქვეყნდა თუ არა „დემოკრატია ამერიკაში“, მაშინვე ერთმანეთისაგან განსხვავებული შეფასებები გამოითქვა ამ ნაშრომისა და მისი ავტორის მიმართ. ალექსის დე ტოკვილი ხან თანამედროვე ლიბერალური ღირებულებების დიდ მედროშედ მიაჩნდათ, ხან დემოკრატის თეორიის ყველაზე დიდ წარმომადგენლად, ხან შედარებითი სოციოლოგიისა და პოლიტიკისმცოდნეობის დამფუძნებლად... ცნობილმა გერმანელმა ფილოსოფოსმა ვილჰელმ დილთაიმ კი იგი პოლიტიკური სამყაროს ყველაზე დიდ ანალიტიკოსად მიიჩნია არისტოტელესა და მაკიაველის შემდეგ... როგორც არ უნდა იყოს, ერთი რამ უტყუარი ფაქტია: დრომ ტოკვილის მიერ XIX საუკუნის 30-იან წლებში გაკეთებული მეტად საფუძვლიანი პოლიტიკურ-ფილოსოფიური დასკვნები და ფხიზელი პროგნოზები დიდწილად გაამართლა!

ალექსის დე ტოკვილის „დემოკრატია ამერიკაში“ პოლიტიკური აზროვნების იმ საფუძველ-მდებარე ნაშრომთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც დღესაც არ კარგავენ აქტუალობას. ამ ნაშრომში არა მარტო ამერიკული დემოკრატის თავისებურებებზეა მსჯელობა, არამედ საერთოდ დემოკრატიული საზოგადოებების – დემოკრატიული სამყაროს – სამომავლო ტენდენციებიცაა გამოკვეთილი. ტოკვილი ვრცლად და სიღრმისეულად მსჯელობს დემოკრატის იმ ზოგადი ნიშან-თვისებების შესახებ, რაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში გახდა განსაკუთრებული ყურადღების საგანი. ფრანგი მოაზროვნე სამყაროს დემოკრატიული წესრიგის იმგვარ უნივერსალურ მახასიათებლებს სწვდა, რომელმაც XX საუკუნის მეორე ნახევრის ინტელექტუალთა საგანგებო ინტერესი გამოიწვია.

„დემოკრატია ამერიკაში“ გვასწავლის, რომ თავად ადამიანის თავისუფალ ბუნებაში გვხვდება ისეთი მისწრაფებები, რომლებიც ხშირად უარყოფითი შედეგების მომტანნი შეიძლება აღმოჩნდნენ. იმ საფრთხეთაგან, რაც მომავლის საზოგადოებას ემუქრება, ერთ-ერთი ყველაზე საშიში არის გულგრილობა, ე.წ. საყოველთაო აპათია. ტოკვილის აზრით, ის ინდივიდუალიზმის ცალმხრივი განვითარების შედეგია და მის წინააღმდეგ ბრძოლა ყველაზე მნიშვნელოვანია. სწორედ ცალკეული ადამიანის გულგრილობა ქმნის იმ საფუძველს, რამაც მანკიერ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გამოვლინებებს შეიძლება მისცეს დასაბამი. ყოველივე ეს კი, თავის მხრივ, ხელისუფლების გაუკუღმართებული ფორმების წარმოქმნას განაპირობებს.

აი, აქ, საჭიროა საგანგებო ყურადღება მივაქციოთ ალექსის დე ტოკვილის ფრთხილ და საღ შეგონებებს! გამოცდილება, რომელსაც დღევანდელი მკითხველი წინამდებარე თხზულების შესწავლის შედეგად შეიძენს, ასეთია: თითოეული ადამიანი სამართლიანობის სადარაჯოზე უნდა იდგეს და წინ უნდა აღუდგეს ყოველი მეორე ადამიანის ჩაგვრის მცირედ გამოვლინებასაც კი!

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევით ინსტიტუტში (დაარსდა 2007 წელს) უკვე რამდენიმე წელია, რაც ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს ფილოსოფიის, სოციოლოგიისა და პოლიტიკური მეცნიერებების კლასიკური და თანამედროვე ტექსტების თარგმანის, შესწავლისა და ანალიზის კუთხით (წინამდებარე გამოცემას თან ახლავს ამავე ინსტიტუტის მიერ ბოლო წლების განმავლობაში გამოქვეყნებული მნიშვნელოვანი სამეცნიერო სერიებისა და მათ ფარგლებში გამოცემული მონოგრაფიების, სამეცნიერო კრებულებისა და თარგმანების ნუსხა).

2008 წელს, სწორედ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში ითარგმნა და დაიბეჭდა ამერიკული პოლიტიკური აზროვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი „ფედერალისტური წერილები“ (მთარგმნელი – პროფ. გიორგი ბარამიძე, სამეცნიერო რედაქტორი – პროფ. მიხეილ გოგატიშვილი), რომელიც ტოკვილის წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს.

„დემოკრატია ამერიკაში“ რთული სტრუქტურის მქონე ტექსტია. ის მოიცავს ორ დიდ წიგნს (ტომს), რომლებიც, თავის მხრივ, ვრცელი ნაწილებისაგან, თავებისაგან და ქვეთავებისაგან შედგება. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ამ თხზულების პირველი წიგნი. ნაშრომს თან ახლავს თავად ალექსის დე ტოკვილის შენიშვნები, რომლებიც კარგი გზამკვლევაა ამ თხზულების რთული სტრუქტურის, პრობლემატიკისა და წყაროების ადეკვატურად გასაგებად. მიუხედავად ამისა, მიზანშეწონილად მივიჩნით წინამდებარე თარგმანისათვის დაგვეერთო სარედაქციო შენიშვნები და კომენტარები იმ წყაროების, ისტორიული პირებისა და მოვლენების შესახებ, რომლებიც თვითონ ტოკვილის მიერ არ არის სათანადოდ განმარტებული.

იმედი გვაქვს, რომ ალექსის დე ტოკვილის ნაშრომი „დემოკრატია ამერიკაში“ დიდად წაადგება პოლიტიკური თეორიითა და პრაქტიკით დაინტერესებულ მკითხველს. ის განსაკუთრებით გამოადგება საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს.

თენგიზ ირემაძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი
ინსტიტუტის დირექტორი

ქ. თბილისი, 25 აგვისტო, 2011 წელი

მთარგმნელის წინასიტყვაობა

ფრანგული პოლიტიკური ფილოსოფიის თვალსაჩინო წარმომადგენელს, ალექსის დე ტოკვილს ცხოვრება და მოღვაწეობა მოუხდა საფრანგეთის ისტორიაში ერთ-ერთ ურთულეს ეპოქაში. XIX საუკუნის პირველი ნახევარი ეს იყო საზოგადოებრივი ურთიერთობების გარდაქმნის რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე პერიოდი, როდესაც რევოლუციათა შედეგად მომხდარი სრულიად განსხვავებული მოვლენები არა მხოლოდ საფრანგეთში, არამედ დასავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში, დემოკრატიის სასარგებლოდ შეტრიალდა: ძველი არისტოკრატიული საზოგადოების ნანგრევებზე დემოკრატიული წყობა ისახებოდა. აღნიშნულ პერიოდში, მრავალი არისტოკრატი ოჯახის მსგავსად, რეპრესიების სუსტი ტოკვილის ოჯახმაც იწვნია: მისი მამა ერვე დე ტოკვილი, თავგამოდებული მონარქისტი, გილიოტინაზე სიკვდილით დასჯისაგან მონარქიის აღდგენამ იხსნა.

ალექსის შარლ ანრი კლერელ დე ტოკვილი დაიბადა პარიზში 1805 წლის 29 ივლისს, ძირძველ არისტოკრატიულ ოჯახში, რომელიც, მამის მხრიდან, მეფე ლუი წმინდას ჩამომავალი იყო; დედის მხრიდან იგი ენათესავებოდა ნიკოლა მალბრანსს და ფრანსუა რენე დე შატობრენს. ტოკვილმა კარგი ჰუმანიტარული განათლება მიიღო, დაამთავრა ქ. მეცის სამეფო კოლეჯი, რომელიც იმხანად საუკეთესოდ ითვლებოდა. კოლეჯში სწავლის პერიოდში იგი დიდი ინტერესით გაეცნო ფრანგ განმანათლებელთა მოძღვრებას, მასზე განსაკუთრებით დიდი ზეგავლენა მოახდინა შარლ ლუი მონტესკიეს პოლიტიკურმა და ფილოსოფიურმა შეხედულებებმა. კოლეჯის შემდეგ, ტოკვილმა, სამართლისმცოდნეობის შესასწავლად, სწავლა განაგრძო პარიზში. 1826 წელს მან იმოგზაურა იტალიაში და თავისი შთაბეჭდილებები აღწერა ნაშრომში *მოგზაურობა სიცილიაში*. 1827 წელს ტოკვილი დაინიშნა მომრიგებელ მოსამართლედ ვერსალში. 1831 წლის 2 აპრილს ტოკვილი ვერსალის ახალგაზრდა იურისტ გუსტავ დე ბომონთან ერთად, ამერიკის პენიტენციური სისტემის შესწავლის მიზნით, გაიგზავნა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მათ ცხრა თვე დაჰყვეს. 1833 წელს ტოკვილმა და დე ბომონმა გამოაქვეყნეს ერთობლივი ნაშრომი *მოსხენება ამერიკის პენიტენციური სისტემისა და საფრანგეთში მისი გამოყენების შესახებ*, რამაც ვერსალში მოღვაწე იურისტთა და სახელმწიფო მოხელეთა დიდი ინტერესი გამოიწვია. იმავე წელს მან იმოგზაურა ინგლისში, ჰქონდა შეხვედრები ცნობილ ინგლისელ ეკონომისტთან ნასაუ უილიამ სენიორთან და ფილოსოფოს ჯონ სტიუარტ მილთან, რომელიც ტოკვილის დიდი თავყვანისმცემელი იყო; მათ ხშირი მიმოწერა ჰქონდათ ერთმანეთთან. 1835 წელს ტოკვილი დაქორწინდა ინგლისელ დიდგვაროვან ქალზე მერი მოთლეიზე, წყვილს ქორწინებიდან შვილი არ შესძენია. 1835 წელს გამოქვეყნდა ტოკვილის ნაშრომის – *დემოკრატია ამერიკაში* – პირველი ტომი, ხოლო 1840 წელს მეორე ტომი. ამ წიგნმა ჯონ სტიუარტ მილის დიდი მონონება დაიმსახურა, მან მაღალი შეფასება მისცა ნაშრომს – კლასიკურ ქმნილებად აღიარა და 1835 წელს გამოაქვეყნა სტატია *London Review*-ში, ხოლო 1840 წელს – *Edinburgh Review*-ში; იმავე წლებში თხზულება (ორივე ტომი) ინგლისურ ენაზე თარგმნა ჰენრი რივმა. ამ წიგნმა ავტორი დიდების შარავანდედით შემოსა: 1838 წელს ტოკვილი აირჩიეს საფრანგეთის პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის, ხოლო 1841 წელს კი – საფრანგეთის აკადემიის წევრად.

1839-51 წლებში ტოკვილი არჩეული იყო დეპუტატად, აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის საპარლამენტო და საკანონმდებლო საქმიანობაში, იყო 1848 წლის საფრანგეთის კონტიტუციის სარედაქციო კომისიის წევრი; იცავდა ლიბერალური ინსტიტუტების შექმნის იდეას, მმართველობის დეცენტრალიზაციისა და საყოველთაო არჩევნების პრინციპებს. 1849 წელს ტოკვილი აირჩიეს საკანონმდებლო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტად, იმავე წელსვე დაინიშნა საგარეო საქმეთა მინისტრად. 1852 წელს ნაპოლეონ III-მ იმპერია აღადგინა; მისადმი ოპოზიციურად განწყობილმა ტოკვილმა პარიზი დატოვა და ტოკვილების საგვარეულო ციხე-სიმაგრეს დაუბრუნდა. 1854 წელს მან იმოგზაურა გერმანიაში. სიცოცხლის ბოლო წლებში იგი ინტენსიურად მუშაობდა ნაშრომზე *ძველი რეჟიმი და რევოლუცია*, რომლის პირველი ტომი დაიბეჭდა 1856 წელს, მეორე კი დაუსრულებელი დარჩა, რადგან ტუბერკულოზით დაავადებული ტოკვილის ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა; 1859 წლის 16 აპრილს ქ. კანში ალექსის დე ტოკვილი გარდაიცვალა, დაკრძალულია ნორმანდიაში, ტოკვილების საგვარეულო სასაფლაოზე.

ტოკვილის *დემოკრატია ამერიკაში* კლასიკურ ნაშრომად იქცა შედარებითი სოციოლოგიისა და ლიბერალურ-პოლიტიკური ფილოსოფიის დარგში და დღემდე არ დაუკარგავს შემეცნებითი

მნიშვნელობა. მისი მიზანი არ გახლავთ ამერიკის მაღიდებელი პანეგერიკის შექმნა. ის მტკიცედ ემხრობა შემდეგ აზრს: დემოკრატიული რევოლუცია, რომლის მოწმენიცა ვართ, არის უცილობელი რამ და მის წინააღმდეგ ბრძოლა არც სასურველია და არც გონივრული. ტოკვილისათვის ნათელია, რომ ამერიკელთა სოციალური წყობის დემოკრატიულმა ხასიათმა ბუნებრივად განაპირობა გარკვეული კანონების შექმნა და პოლიტიკური შეხედულებების ჩამოყალიბება. მეტიც, მანვე წარმოქმნა ევროპის ძველი არისტოკრატიული საზოგადოებებისათვის უცნობი მრავალი გრძნობა და წარმოდგენა, შეცვალა ან საერთოდ მოსპო ადამიანთა ოდინდელი ურთიერთობები და მათ ნაცვლად ახლები წარმოქმნა. პოლიტიკურ სამყაროზე არანაკლებ შეიცვალა სამოქალაქო საზოგადოების სახე. სრულიად ახალ სამყაროს კი ახალი პოლიტიკური ცოდნა ესაჭიროებოდა.

არსებული ვითარების ნათლად წარმოსაჩენად, ტოკვილი ხელმძღვანელობს შედარებითი მეთოდის პრინციპით: ერთი მხრივ, არისტოკრატიული საფრანგეთისა და ინგლისის, მეორე მხრივ კი, ამერიკის დემოკრატიული წყობის არსებითი ნიშნების ანალიზით იგი გვიჩვენებს იმ გავლენას, რასაც დემოკრატიის ბატონობა ახდენს ამერიკის საზოგადოებაზე, მის იდეებსა და ზნე-ჩვეულებებზე. ავტორის სურვილია ღრმად ჩასწვდეს პოლიტიკური ვითარების რეალობას; ნაშრომი მდიდარია ფაქტობრივი მასალით. ამერიკის სამართლებრივ და პოლიტიკურ ინსტიტუტებზე ტოკვილის რეფლექსია ეფუძნება ყველაზე სარწმუნო და ავტორიტეტულ შრომებს, რომელთა შორის თავად ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს ფედერალისტურ წერილებს: ფედერალისტი მშვენიერი წიგნია. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ამერიკას ეხება, ყველა ქვეყნის სახელმწიფო მოხელემ კარგად უნდა შეისწავლოს იგი.

ტოკვილის ნაშრომის უდავო ღირსებას შეადგენს ის, რომ მასში ავტორი იძლევა სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების ღრმა გააზრებას, რამაც დიდი გავლენა მოახდინა დემოკრატიის ზოგადი თეორიისა და თანამედროვე ლიბერალურ-პოლიტიკური ფილოსოფიის ფორმირებაზე.

დემოკრატიის შეცნობა, მოქალაქეთა თანდათანობით ზიარება სახელმწიფოს მმართველობის საქმიანობასთან, მათი გათავისუფლება ამგვარი მოღვაწეობისათვის გამოუცდელილობისაგან და მათი ბრმა ინსტინქტების ჩანაცვლება ჭეშმარიტი ინტერესების ცოდნით; მმართველობის სისტემის შესაბამისობაში მოყვანა დროსა და ადგილთან; მმართველობის მოდიფიცირება გარემოებათა და ადამიანთა მიხედვით, აქედან გამომდინარე, კანონმდებლობის დაფუძნება დემოკრატიის უმთავრეს ღირებულებებზე – თავისუფლებასა და პოლიტიკურ თანასწორობაზე – აი, მცირედი ჩამონათვალი იმ საკითხთა არეალიდან, რაც ტოკვილის ნაშრომში საგანგებოდაა განხილული.

ტოკვილი წერს: დემოკრატი ხალხები ბუნებრივად, შინაგანი ნაქეზებით ისწრაფვიან თავი-სუფლებისაკენ და საკუთარ თავს მინებებულნი, ეძებენ მას, უყვართ და მტკივნეულად განიცდიან მის დაკარგვას. ავტორის ღრმა რწმენით, ჩვენს დროში თავისუფლება ვერ დაფუძნდება თანასწორობის გარეშე; ადამიანთა მდგომარეობის თანასწორობის თანდათანობით დამყარება არის წინასწარ განჭვრეტილი მოვლენა. მაგრამ იმასაც აღიარებს, რომ რა ძალისხმევასაც უნდა მიმართოს ხალხმა, მაინც ვერ შეძლებს ყველასთვის თანაბარი საარსებო პირობების შექმნას; და თუ, საუბედუროდ, მიაღწევს აბსოლუტურ და სრულ თანასწორობას, მაინც შენარჩუნდება ინტელექტუალური უთანასწორობა, რაც უშუალოდ ღმერთიდან მომდინარეობს. კაცობრიობისათვის ყველაზე დიდი სიკეთეების მომტანი თანასწორობა, ადამიანებს არა მხოლოდ იდეალის წარმოსახვის უნარს უსუსტებს, არამედ ამცირებს ამგვარ წარმოსახვად ღირებულ იდეალურ ობიექტთა რაოდენობასაც; იმავდროულად ხალხებში ინვესტს ძალზე სახიფათო ინსტინქტების განვითარებას: ის ადამიანებს უბიძგებს, გაეთიშონ ერთმანეთს და თითოეული მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავდეს. თანასწორობა ძალზე ფართოდ უღებს კარს მათ სულს – დატკებს მატერიალური სურვილებით. ტოკვილი მიაწინებს იმ საფრთხეებზე, რითაც თანასწორობა ემუქრება დემოკრატი ხალხებს და წერს, ის მათში ვერ ინვესტს მძაფრ, დაუმცხრალ, მარადიულ, უძლეველ ვნებას – ეს არის მათი წყურვილი თანასწორობისა თავისუფლებაში და თუ ამას ვერ ჰპოვებენ, თანასწორობას ამჯობინებენ – თუნდაც მონობაში. ისინი აიტანენ სიღარიბეს, დამონებას, ბარბაროსობას, მაგრამ თავიანთ გვერდით ვერ იგუებენ არისტოკრაციას. იმასაც დასძენს, რომ ჩაგვრის ფორმა არ იქნება ისეთი მძიმე, როგორც იყო ადრე; თუმცა ავტორი ამაოდ ცდილობს, ზუსტი განსაზღვრება მოუძებნოს ასეთი ჩაგვრის იდეას, რომელსაც ძველი, გაცვეთილი სიტყვები – დესპოტიზმი და ტირანია – საერთოდ არ შეესაბამება. ეს ახალი მოვლენაა.

ტოკვილის თხრობა აღბეჭდილია სამართლიანობის განცდით. ის სავსებით ეთანხმება იმას,

რომ საზოგადოებრივი სიმშვიდე დიდი სიკეთეა, მაგრამ ამასთან არც იმის დავინწყება სურს, რომ ხალხები ტირანიაზე მიდიოდნენ სწორედ სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგით, რომ მარტო საზოგადოებრივი წესრიგი საკმარისი არ არის. *ნებისმიერი ხალხი, რომელიც თავის მთავრობას მხოლოდ წესრიგის შენარჩუნებას სთხოვს, გულის სიღრმეში უკვე მონაა – მონა საკუთარი კეთილდღეობისა და შეიძლება გამოჩნდეს ვინმე, რომელიც მას ბორკილს დაადებს.*

ტოკვილის აზრით, უმთავრესი მოვალეობა, რაც ეკისრება საზოგადოების მმართველებს დემოკრატიული წყობის დასაფუძნებლად, გახლავთ, ხელისუფლების – საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო – განაწილების პრინციპი, რომელიც დემოკრატიის უმთავრესი ღირებულებების – თავისუფლებისა და პოლიტიკური თანასწორობის გარანტიაა. ხელისუფლების განაწილების მონტესკიესეული პრინციპისაგან განსხვავებით, ტოკვილი საგანგებოდ აღნიშნავს იმ სიახლეს, რომ ამერიკაში საკანონმდებლო ხელისუფლება გაყოფილია ორ ასამბლეად (სენატი და წარმომადგენლობითი პალატა), რაც, ამჟამად, აქსიომად არის მიჩნეული პოლიტიკის მეცნიერებაში.

თითოეული ადამიანის უსაფრთხოებისა და ყველას პოლიტიკური თავისუფლების დასაცავად, მონტესკიეს დარად, ტოკვილსაც არსებით პირობად მიაჩნია სასამართლო ხელისუფლების განცალკევება ხელისუფლების აღმასრულებელი და საკანონმდებლო შტოებისაგან. ამერიკის საკანონმდებლო სისტემის შესწავლის შემდეგ, ტოკვილი წერს: *ამერიკის კანონმდებლობა უმთავრესად მიმართულია კერძო პირის ინტერესებისაკენ. მსოფლიოში არ არის ქვეყანა, სადაც კანონი იყოს ისე უზენაესი და ძალმოსილი, როგორც ეს ამერიკაშია. [...] ამერიკაში ერთი ადამიანი არა მეორე ადამიანს, არამედ სამართალს, კანონს მორჩილებს.* ტოკვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამერიკელი მოსამართლეები უდიდესი პოლიტიკური ძალაუფლებით არიან აღჭურვილნი, რისი მიზეზიც არის შემდეგი ფაქტი: *ამერიკელებმა თავიანთ მოსამართლეებს მიანიჭეს უფლება განაჩენი დაეფუძნებინათ უმაღლესი კონსტიტუციაზე და არა კანონებზე.* კანონმდებლებმა მოსამართლეებს ნება დართეს ეხელმძღვანელათ მხოლოდ ისეთი კანონებით, რომლებიც არ შეეწინააღმდეგებოდნენ კონსტიტუციას. ამერიკაში ასეთი სამართალი ხელისუფლების ყველა შტოს მიერაა აღიარებული და მას სადავოდ არავინ ხდის. მოსამართლეები მორჩილებენ კონსტიტუციას და სხვა კანონებთან შედარებით მას ანიჭებენ უპირატესობას. ავტორის აზრით, ეს სავსებით შეესაბამება თავად სასამართლო ხელისუფლების არსს, რადგან ყოველი მოსამართლისათვის ნიშანდობლივი უფლება არის ნორმატიულ აქტთა შორის ისეთთა შერჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად ესადაგებიან სასამართლო ხელისუფლების არსს. სასამართლო ხელისუფლებაზე მსჯელობას ტოკვილი ასრულებს შემდეგი დასკვნით: *მართლმსაჯულების უდიდესი მიზანი არის ძალადობის იდეის შეცვლა სამართლის იდეით [...] ამერიკელებმა თავიანთ მოსამართლეებს უბოძეს უდიდესი პოლიტიკური ძალაუფლება, მაგრამ დაავალდებულეს – რომელიმე კანონის წინააღმდეგ კრიტიკისათვის მიმართონ მხოლოდ იურიდიულ საშუალებებს; ამით ამერიკელებმა მნიშვნელოვნად შეამცირეს აღნიშნული ძალაუფლების საფრთხე.* ტოკვილის თანახმად, სწორედ მოსამართლეების ასეთი უფლება ქმნის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ბარიერს, რაც კი ოდესმე ალუმართავთ პოლიტიკურ გაერთიანებათა ტირანიის წინააღმდეგ. ტოკვილის ყურადღების მიღმა არ რჩება არც ის, რომ ევროპისაგან განსხვავებით, ამერიკაში დანაშაული იშვიათად რჩება დაუსჯელი; ამ მხრივ ევროპაში განსხვავებული ვითარებაა: ევროპაში დამნაშავე მიაჩნიათ იმ ბედკრულ ადამიანად, რომელიც იბრძვის, რათა დაემალოს ძალაუფლების წარმომადგენლებს, ამერიკაში კი ბოროტმოქმედი აღიქმება ადამიანური მოდგმის მტრად, რომლის წინააღმდეგაც საზოგადოება უნდა ამხედრდეს. ამიტომ ყველა დაინტერესებულია დროულად წარადგინოს სამართალდარღვევის სამხილები, რათა დამნაშავე დაიჭიროს.

ტოკვილის აზრით, ადგილობრივი ინსტიტუტები ყველა ხალხისათვის საჭიროა, მაგრამ ყველაზე მეტად ისინი საჭიროდება დემოკრატიულ სახელმწიფოს: *ეს ის მკვიდრი საყრდენია, რომელთა გარეშე დემოკრატიულ სახელმწიფოს არავითარი გარანტია არ გააჩნია დესპოტიზმისაგან თავის დასაღწევად.* საერთო ინტერესების ერთ ადგილზე ან ერთ ხელში თავმოყრას ტოკვილი უწოდებს სამთავრობო ცენტრალიზაციას, კერძო ინტერესთა მართვის ძალაუფლების იმავე ფორმით თავმოყრას კი – ადმინისტრაციულ ცენტრალიზაციას. ამდენად, ავტორის საგანგებო რეფლექსიის საგანია მმართველობის დეცენტრალიზაცია; იგი აღფრთოვანებულია მმართველობის დეცენტრალიზაციის არა ადმინისტრაციული, არამედ პოლიტიკური შედეგებით ამერიკაში; იმით, რომ ევროპის რომელიმე ძველი მონარქისაგან განსხვავებით, ამერიკაში მაღალ დონეზეა მთავრობის ცენტრალიზაცია, ეროვნული

ძალა უფრო კონცენტრირებულია და საერთოდ არ არსებობს ადმინისტრაციული ცენტრალიზაცია; დეცენტრალიზაციამ მიაღწია ისეთ დონეს, რასაც ვერც ერთი ევროპული სახელმწიფო ვერ გაუძლებდა. და იქვე დასძინს: *შეერთებული შტატების აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურაში არაფერია არც ცენტრალიზებული და არც იერარქიული. საზოგადოებას აქვს ორი საშუალება, რითაც აიძულებს თანამდებობის პირებს კანონთა მორჩილებას: მინიჭოს მათ შეუზღუდავი ძალაუფლება სხვა დანარჩენთა სამართავად და ამ უკანასკნელთა დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ჩამოართვას თანამდებობები, ან სასამართლოებს დაავალოს გამოიყენოს დადგენილი სასჯელი კანონთა დამრღვევის მიმართ.* მისი სიტყვების თანახმად, *კომუნაში საოცარი ოსტატობით ზრუნავენ ძალაუფლების დაქუცმაცებაზე. რეალურად, ამერიკაში კომუნა ყოველმხრივ სუვერენულია იმაში, რაც მხოლოდ მას ეხება, დანარჩენ საკითხებში კი შტატს ექვემდებარება. თავის მოხელეებს კომუნა, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, თავად სთავაზობს მთავრობას.*

ავტორი ასევე პოზიტიურ სიახლედ მიიჩნევს ამერიკულ კონფედერაციას, რომელიც ყველა სხვა კონფედერაციის მსგავსია, მაგრამ თავისი შედეგებით აშკარად სხვაობს ყველა სხვა დანარჩენთაგან. ტოკვილი სვამს კითხვას: *საიდან იღებს ყოველივე ეს დასაბამს? და თავადვე პასუხობს: ამერიკის ფედერალური კონსტიტუცია ეფუძნება სრულიად ახალ თეორიას, რომელიც ჩვენი დროის პოლიტიკის მეცნიერების დიად მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს. აქ იგულისხმება ამერიკელთა მიერ შემოტანილი სიახლე – პოლიტიკური სუვერენიტეტის ჰორიზონტალური დანაწევრება ფედერალურ ხელისუფლებასა და შტატის ხელისუფლებას შორის. ტოკვილის აზრით, შეერთებული შტატების უახლესი ისტორიის ერთი თვალის გადავლენაც კმარა, რათა შეამჩნიოთ მთელი ის სიკეთე, რაც ამ სისტემის დაკანონებას მოჰყვა. სახელმწიფო სუვერენიტეტის ასეთი დაყოფა უზრუნველყოფს ყოველი შტატის კეთილდღეობას. ამერიკელ კანონმდებელთა გონიერების ნყალობით ფედერალური სისტემის თანამდევნი ხარვეზები მინიმუმამდეა დაყვანილი: მათ კავშირის ხელისუფლება მოაქციეს ფედერალური მთავრობების შეზღუდულ წრეში და ეროვნული იერსახე მისცეს; მსჯელობას ტოკვილი ასრულებს შემდეგი დასკვნით: *შეერთებული შტატების კონსტიტუცია – ადამიანის გამჭრიახობის დამადასტურებელი ქმნილება – ყველაზე საუკეთესოა, რაც კი ცნობილია ფედერალურ კონსტიტუციათაგან.**

ტოკვილის ნაშრომის წინამდებარე თარგმანის რედაქტირების პროცესში განეული დიდი თანადგომისათვის მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო პროფესორ თენგიზ ირემადეს საფუძვლიანი რჩევებისათვის; ტექსტის აზრის ნვდომის მისმა უტყუარმა ალლომ დიდად შეუწყო ხელი წინამდებარე თარგმანის სრულყოფას. პროფესორ ლალი ზაქარაძეს, თარგმანის პროექტის განხორციელების ერთ-ერთ ინიციატორს, ქართული ტექსტის გულისხმიერებით რედაქტირებისათვის; ასისტენტ-პროფესორ გიორგი თავაძეს, რომელმაც ყურადსაღები შენიშვნებით ჯეროვანი დახმარება გაგვიწია. მინდა ასევე დიდი მადლობა გადავუხადო გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ მამუკა თავხელიძეს აღნიშნული პროექტის მიმართ გამოჩენილი დიდი გულისხმიერებისა და ქმედითი დახმარებისათვის. ასევე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობის ხელმძღვანელს ბატონ მისხილ სარიშვილს ნაშრომის ბეჭდვის ტექნიკური და პოლიგრაფიული მხარის უზრუნველყოფისათვის. აქვე მსურს მადლიერებით მოვიხსენიო ბატონი გიორგი ბაგრატიონი ნიგნის ყდის დიზაინის მომზადებისა და ტექსტის დაკაბადონებისათვის.

ალექსის დე ტოკვილის *დემოკრატია ამერიკაში* პირველი თარგმანია ქართულ ენაზე; ის შესრულებულია ფრანგული დედნიდან – Alexis de Tocqueville: *De la démocratie en Amérique, Éditions Gallimard, 1986* – საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს საგამომცემლო-მთარგმნელობითი პროგრამის ფინანსური ხელშეწყობით.

ვფიქრობთ, ალექსის დე ტოკვილის *დემოკრატია ამერიკაში* ქართული თარგმანის სახით მკითხველი შეიძენს საჭირო ნაშრომს, რომელიც დიდად ნაადგება ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების განვითარების საქმეს, დახმარებას გაუწევს არა მხოლოდ ფილოსოფოსებს, სოციოლოგებსა და პოლიტოლოგებს, არამედ შედარებითი სოციოლოგიისა და პოლიტიკური მეცნიერებების პრობლემებით დაინტერესებულ ყველა მკითხველს.

დოდო ლაბუჩიძე-ხოფერია

ქ. თბილისი, 15 აგვისტო, 2011 წელი

სიბნეი პირველი

შესავალი

ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნის დროს, ჩემი ყურადღება მიიპყრო მრავალმა ახალმა მოვლენამ, რომელთაგან ყველაზე მეტად ადამიანთა მდგომარეობის თანასწორობამ განმაცვიფრა. დიდი გარჯა არ დამჭირვებია, რათა აშკარად დამენახა ის უდიდესი გავლენა, რომელსაც ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტი ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების დინებაზე. ის კანონებსა და საზოგადოებრივ აზრს წარმართავს გარკვეული მიმართულებით, ქმნის მმართველი ფენის მოღვაწეობის ახალ ნორმებს, ხოლო მართულთა საქმიანობაში – სათანადო ჩვევებს.

მალე ჩემთვის გასაგები გახდა ის ფაქტიც, რომ იგივე ვითარება თავის გავლენას ახორციელებს პოლიტიკურ სფეროშიც და კანონთა საზღვრებს მიღმაც, რომ მისი ძალაუფლება ვრცელდება როგორც სამოქალაქო საზოგადოებაზე, ისე მმართველობაზე. მდგომარეობის თანასწორობა ბადებს ადამიანთა შესაბამის აზრებს, გრძნობებს, კარნახობს სათანადო ჩვევების გამომუშავებას და ახდენს ყოველივე იმის მოდიფიცირებასაც, რაც მისი გავლენის გარეშეც ახასიათებთ ადამიანებს.

ამგვარად, ამერიკული საზოგადოების შესწავლის კვალბაზე, უფრო და უფრო ვხედავდი ადამიანთა მდგომარეობის თანასწორობის წინაპირობებს, საიდანაც მომდინარეობდა ამ ფენომენის ყოველი ცალკეული, კონკრეტული ფაქტი. ეს წინაპირობები გამუდმებით მედგა თვალწინ, როგორც ის ცენტრალური ნერტილი, სადაც თავს იყრიდა ყველა ჩემი დაკვირვება.

შემდეგ, როდესაც გონითი მზერა გადმოქონდა ჩვენი ნახევარსფეროსაკენ, მომეჩვენა, რომ აქაც შემეძლო გამომეყო რაღაც იმის ანალოგიური რამ, რასაც ახალი სამყარო მთავაზობდა. ეს მსგავსი მდგომარეობა იყო თანასწორობა, რომელიც აქ, ამერიკის შეერთებული შტატებისაგან განსხვავებით, ვერ აღწევდა თავის უმაღლეს ზღვარს, მაგრამ ყოველდღიურად უახლოვდებოდა მას. მე მომეჩვენა, რომ იგივე დემოკრატია – ამერიკულ საზოგადოებაში რომ ბატონობდა, ევროპაშიც სწრაფად მიიწევდა მმართველობის სფეროსაკენ.

და დამებადა ამ წიგნის დაწერის იდეა...

ჩვენ ვცხოვრობთ დიდი დემოკრატიული რევოლუციის ეპოქაში; ამას ყველა ხედავს, მაგრამ ერთნაირად როდი აფასებს მას. ერთნი მას განიხილავენ ახალ, შემთხვევით მოვლენად და იმედოვნებენ, რომ შეძლებენ მის შეჩერებას. მეორენი მიიჩნევენ, რომ იგი უცილობელი და უძლევეია, როგორც ყველაზე უწყვეტი, ძველი და მარად განვითარებადი მოვლენა იმ მოვლენათა შორის, რაც კი ცნობილია ისტორიაში.

ერთი წუთით გავიხსენოთ, თუ რა იყო საფრანგეთი შვიდასი წლის წინათ: იგი ნაწილდებოდა მცირერიცხოვან ოჯახებს შორის, რომლებიც ფლობდნენ მიწას და მართავდნენ მოსახლეობას. იმხანად ამგვარი მმართველობის უფლება, ქონებასთან ერთად, თაობიდან თაობას მემკვიდრეობით გადაეცემოდა. ადამიანების ერთმანეთზე ზემოქმედების ერთადერთი საშუალება იყო ძალა, ხოლო მიწის ანუ საადგილმამულო საკუთრება – ამ ძლიერების სათავე.

სწორედ ამ დროს საფრანგეთის სამღვდელთა იძენს ძალაუფლებას და სწრაფად ავრცელებს თავის გავლენას. სასულიერო ცხოვრების სფერო კარს უღებს ყველას: ღარიბებსაც და მდიდრებსაც, მდაბიობსაც და დიდებულებსაც. ამგვარი თანასწორობის ნიშნები ეკლესიის გზით აღწევს მმართველობის ნიაღშიც: ყმადშობილი, სამუდამო მონობისთვის განწირული ადამიანი, მღვდელი გახდებოდა თუ არა, მაშინვე თავის ადგილს იკავებდა კეთილშობილთა შორის და ხშირად გვირგვინოსანთა მაღლაც წამოიჭიმებოდა ხოლმე.

დროის დინების კვალდაკვალ, საზოგადოებაც უფრო მეტად ვითარდებოდა და სტაბილურობას იძენდა, ადამიანთა შორის ურთიერთობები კი ბევრად რთული და მრავალმხრივი ხდებოდა. მძაფრად იგრძნობოდა სამოქალაქო კანონთა საჭიროება. და აი, სწორედ ამ საჭიროების გამო, ასპარეზზე გამოდიან კანონმდებლები; ისინი ტოვებენ სხდომათა დარბაზების კედლების მიღმა უჩინარ არსებობას, სასამართლოს კანცელარიათა დამტვერილ პატარა ოთახებს და გადაინაცვლებენ ხელმწიფის კარზე, სადაც, ყარაყუმის მოსასხამითა და აბჯარ-აბგარით დამშვენებული ფეოდალი ბატონების გვერდით, სამეფო საბჭოს სხდომებს ესწრებიან.

მეფეები ეწირებიან დიდ წამონყებებს; დიდებულები ერთმანეთთან ომებს ალევენ თავიანთ ძალ-ღონეს; ვაჭრობით მდიდრდებიან მდაბიობები. აშკარა ხდება ფულის გავლენა სახელმწიფო საქმეებზე. კომერცია ძალაუფლების მოპოვების ახალ წყაროდ იქცევა; ფინანსები ყალიბდება იმგვარ პოლიტიკურ ძალად, რომელიც სძულთ, მაგრამ მაინც ეპირფერებიან.

თანდათანობით ვრცელდება განათლება; იღვიძებს ინტერესი ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი; გონებას აღიარებენ წარმოების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად, ცოდნას – მმართველობის საშუალებად, ინტელექტს – სოციალურ ძალად; განათლებულ ადამიანებს გზა ეხსნებათ სახელმწიფო საქმეებისაკენ.

ძალაუფლებისაკენ მიმავალი ახალი გზების გამოჩენის კვალდაკვალ, ფასი ეკარგება ადამიანის წარმომავლობას. თუ XI საუკუნეში დიდგვაროვნება ფასდაუდებელ სიმდიდრედ ითვლებოდა, XIII საუკუნეში უკვე შეიძლებოდა მისი ყიდვა (გაკეთილშობილების პირველი ფაქტი მოხდა 1270 წელს). ბოლოს და ბოლოს თანასწორობამ მმართველობაში თავად არისტოკრატთა მემკვიდრეობით შეაღწია. განვლილი შვიდასი წლის მანძილზე ისეც მომხდარა, რომ თავადაზნაურობამ მეფის წინააღმდეგ ბრძოლით ან ერთმანეთთან ქიშპით, პოლიტიკური ძალაუფლება ხალხს ჩაუგდო ხელთ.

უფრო ხშირი იყო შემთხვევები, როცა დაბალ კლასებს მეფეები თავად აღებინებდნენ მონაწილეობას მმართველობაში, რათა ამით არისტოკრატის უფლებები შეეზღუდათ და დაემცივებინათ.

ამ მხრივ საფრანგეთის მეფეებმა ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი როგორც გამთანასწორებლებმა. როდესაც ამ მეფეთა პატივმოყვარეობა და ძალაუფლება ძლიერი იყო, ისინი ცდილობდნენ ხალხი კეთილშობილთა დონემდე აემაღლებინათ; როდესაც ზომიერ ძალას ფლობდნენ, ან სუსტები იყვნენ, მდაბიოებს უპირატესობის საშუალებასაც კი აძლევდნენ. მეფეთაგან ზოგი დემოკრატის თავისი ნიჭიერებით უწყობდა ხელს, ზოგიც – თავისი მანკიერებით. ლუი XI* და ლუი XIV* მხოლოდ იმაზე ზრუნავდნენ, რომ ტახტის ქვემოთ არსებული ყველაფერი გათანაბრებულიყო, ლუი XV* კი ბოლოს მთელ სამეფო კართან ერთად არარაობამდე დავიდა.

მას შემდეგ, რაც მოქალაქეებს მიწის მფლობელობის უფლება მიეცათ და ფეოდალურ-სალენო საკუთრების ფორმა აღარ იყო ერთადერთი, მათ შეძლეს დაეგროვებინათ მოძრავი თუ უძრავი ქონება, რაც მფლობელს ანიჭებდა საზოგადოებრივ გავლენას და გზას უხსნიდა ხელისუფლებისაკენ. ნებისმიერ გამოგონებას ხელოსნობის სფეროში და ნებისმიერ გაუმჯობესებას ვაჭრობასა თუ მრეწველობაში, არ შეიძლებოდა არ წარმოემვა ახალი ელემენტები ადამიანთა შორის თანასწორობის ხელშესაწყობად. ამ დროიდან მოყოლებული ყველა ტექნოლოგიური აღმოჩენა, ყველა ახალი მოთხოვნილება და სურვილი, რომელიც ითხოვდა დაკმაყოფილებას იყო პროგრესი საყოველთაო თანასწორობისაკენ. ლტოლვა ფუფუნებისაკენ, მისწრაფება ომებისადმი, მოდის გავლენა და სხვა ყველაზე უფრო ზერელე თუ სიღრმისეული ვნებები ადამიანისა, თითქოს იმისთვის ერთიანდებოდნენ, რომ ერთობლივად შეეწყობათ ხელი მდიდართა გაღარიბებისა და ლატაკთა გამდიდრებისათვის. მას შემდეგ, რაც ინტელექტუალური შრომა ძალაუფლებისა და სიმდიდრის წყაროდ იქცა, ყველა წინ გადადგმული ნაბიჯი მეცნიერებაში, ყოველი ახალი ცოდნა, ნებისმიერი ახალი იდეა, შეიძლება განხილული იქნეს როგორც მომავალი წინსვლის ჩანასახი, რაც სრულიად ხელმისაწვდომია ხალხისთვის. პოეტურმა ნიჭმა, მჭევრმეტყველებამ, მეხსიერებამ, ნათელმა გონებამ, ცხოველმა წარმოსახვამ, ღრმა აზრმა – ყველა ამ უნარმა, რომელიც განგებამ ადამიანთა შორის ალაღბებზე დაანანილა, სარგებელი მოუტანა დემოკრატისა მაშინაც კი, როდესაც ხსენებულ უნართა მფლობელნი თავად დემოკრატის მოწინააღმდეგენი იყვნენ. ყოველივე მაინც დემოკრატის სასარგებლოდ მუშაობდა, თვალნათლივ უსვამდა ხაზს ადამიანის ბუნებრივ, თანდაყოლილ სიდიადეს. ამრიგად, ცივილიზაციისა და განათლების წარმატება, იმავდროულად, დემოკრატის განმტკიცებასაც უწყობდა ხელს, ხოლო ლიტერატურა ყველასათვის იმ ღია არსენალად იქცა, საიდანაც სუსტები და ღარიბები ყოველდღიურად იღებდნენ თავიანთ სასარგებლო იარაღს.

როდესაც თვალს ადევნებ ჩვენი ისტორიის ფურცლებს, ძნელია წაანყდეთ ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, – ბოლო შვიდასი წლის მანძილზე რომ მოხდა, – რომელთაც თავიანთი კეთილისმყოფელი გავლენა არ მოეხდინოთ თანასწორობის დაფუძნებაზე.

ჯვაროსნულმა ომებმა და ინგლისთან ბრძოლამ* გაანადგურა თავად-აზნაურობა, დაანანევრა მათი მიწები; საქალაქო კომუნათა ინსტიტუტმა* შემოიტანა დემოკრატიული თავისუფლება თავად ფეოდალური მონარქიის წიაღში; ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონებამ ერთმანეთთან გაათანაბრა ბრძოლის ველზე მყოფი მდაბიოცა და დიდებულიც. დაიწყო ნიგნის ბეჭდვა,* რამაც თანაბარი შესაძლებლობები გადაუშალა ადამიანთა გონებრივ განვითარებას; საფოსტო სამსახურის წინსვლამ განათლების მიღების საშუალება მისცა როგორც ღარიბის ქოხის წევრებს, ისე სასახლის კარზე მყოფთ. პროტესტანტიზმმა რწმენა განუმტკიცა ყველა ადამიანს, რომ მათ თანაბრად შესწევთ უნარი, იპოვონ ზეცისაკენ მიმავალი გზა. ამერიკა ხომ, დღიდან მისი აღმოჩენისა, ათასობით სა-

შუალეხას ქმნის ქონების მოსახვეჭად; ყველასათვის უცნობ ავანტიურისტებსაც კი სიმდიდრისა და ძალაუფლების მოპოვების გზებს უკვალავს.

თუ განიხილავთ იმას, რაც XI საუკუნიდან მოყოლებული ორმოცდაათწლიანი დროის ინტერვალით მოხდა საფრანგეთში, უთუოდ შეამჩნევთ, რომ ყოველი ამ პერიოდის ბოლოსათვის საზოგადოებრივ წყობაში ხდებოდა ორმაგი რევოლუცია: აზნაური სოციალური კიბის გაცილებით დაბალ საფეხურზე აღმოჩნდებოდა ხოლმე, მდებრივ კი უფრო მაღალზე. ერთი ეშვებოდა, მეორე აღზევდებოდა. ყოველი ნახევარი საუკუნის დასასრული მათ აახლოვებდა, რასაც მალე მათი ერთმანეთთან გათანასწორება უნდა მოჰყოლოდა.

ეს პროცესი მარტო საფრანგეთისათვის არ არის ნიშანდობლივი. საითაც არ უნდა მივაპყროთ მზერა, ისეთსავე რევოლუციას დავინახავთ, რომელიც მთელ ქრისტიანულ სამყაროში ხდებოდა.

ხალხთა ცხოვრებაში მომხდარი სრულიად განსხვავებული მოვლენებიც კი, ყველგან დემოკრატიის სასარგებლოდ შეტრიალდა. ყველა და ყველაფერი მას ეხმარებოდა თავისი ძალისხმევით: ისინიც, ვინც შეგნებულად უწყობდნენ ხელს მის წარმატებას და ისინიც, ვინც, ქვეშეცნეულად, არც კი ფიქრობდნენ მის სამსახურს; ისინიც, ვინც იბრძოდნენ დემოკრატიისათვის და ისინიც, ვინც თავი გამოაცხადეს მის მტრებად. ყველანი ერთი და იმავე გზით უწესრიგოდ მიემართებოდნენ და ერთიანად იღწვოდნენ მის სასიკეთოდ: ერთნი – თავიანთი ნების თანახმად, მეორენი – როგორც ბრმა იარაღი განგების ხელში – უნებურად.

ამგვარად, ადამიანთა მდგომარეობის თანასწორობის თანდათანობითი დამყარება არის წინასწარ განჭვრეტილი მოვლენა. ამ პროცესისათვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები: საყოველთაოობა, მდგრადობა და სულ უფრო და უფრო ნაკლები დამოკიდებულება ადამიანთა ნებაზე; ყველა მოვლენა, ყველა ადამიანი ხელს უწყობს მის განვითარებას.

ნუთუ გონივრულია იმაზე ფიქრი, რომ ასე შორს წასული სოციალური პროცესი შეიძლება შეჩერებული იქნეს ერთი თაობის ძალისხმევით? ნუთუ ვინმეს მიაჩნია, რომ ფეოდალური სისტემის გაუქმებითა და მეფეთა დამხობით დემოკრატია უკან დაიხევს მდიდრებისა და ბურჟუების წინაშე? შეჩერდება კი მისი განვითარება მაშინ, როცა იგი ასე ძლიერია, მისი მოწინააღმდეგეები კი ესოდენ სუსტი?

მაშ საით მივდივართ? ამაზე პასუხის გაცემა არავის ძალუძს, რადგან უკვე არაფერთან გვაქვს შესადარებელი ჩვენი ამჟამინდელი ურთიერთობები. დღესდღეობით ქრისტიან ხალხებში ადამიანთა საარსებო პირობები ბევრად უფრო თანასწორია, ვიდრე ეს მსოფლიოს რომელიმე ქვეყანაში ოდესმე ყოფილა. ამიტომ ჩვენ, დიდების საფეხურზე მდგომთ, არა გვაქვს იმის განჭვრეტის საშუალება, თუ რა შეიძლება მოხდეს მომავალში.

მთელი ეს წინამდებარე წიგნი დანერვილია ერთგვარი რელიგიური თრთოლვით, რითაც მოცული იყო ავტორის სული ამ შეუნელებელი რევოლუციის ყურებით; რევოლუციისა, ამდენი საუკუნის წიალიდან რომ მოდის წინააღმდეგობათა დაძლევის გზებით და ამჟამადაც რომ აგრძელებს წინსვლას თავის თანმხლებ ნგრევათა შორის.

ღმერთს სულაც არ ესაჭიროება საკუთარი ხმის ამაღლება იმისათვის, რომ მისი ნების უტყუარი ნიშნები აღმოვაჩინოთ. ამისათვის ჩვეულ ბუნებრივ პროცესებზე მხოლოდ დაკვირვება და მოვლენათა განვითარების გამუდმებით მოქმედი ტენდენციების დანახვა კმარა. მე ვიცი, რომ მაშინაც კი, როცა უზენაესი შემოქმედის ხმა არ ისმის, მნათობები სივრცეში მოძრაობენ იმ ორბიტაზე, რომელიც უფალმა თითოთ მოხაზა.

თუ ხანგრძლივმა დაკვირვებებმა და უშუალო მედიტაციებმა ამჟამად ადამიანები მიიყვანა იმის აღიარებამდე, რომ თანასწორობის თანდათანობითი და უწყვეტი განვითარება ერთსა და იმავე დროს მათი ისტორიის წარსულიცაა და მომავალიც, ეს ცოტა ზემოთ ნახსენები აღმოჩენაც ამ განვითარებას უკვე განიხილავს უზენაესი განმგებლის ნების გამოვლინებად. აქედან გამომდინარე, დემოკრატიის განვითარების შეჩერების სურვილი წარმოჩნდება ბრძოლად თავად ღმერთის წინააღმდეგ და ხალხებს მხოლოდ ისლა დარჩებათ, შეეგუონ თავიანთ სოციალურ მდგომარეობას განგება რომ უწესებს.

მეჩვენება, რომ ის მდგომარეობა, რომელშიც ამჟამად ქრისტიანი ხალხები იმყოფებიან, შემზარავია. მოძრაობა, რომელმაც ეს ხალხები მოიკვა, ისე ძლიერია, რომ შეუძლებელია მისი შეჩერება, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის იმდენად სწრაფი, რომ მისი წარმართვა ვერ შეძლონ. ხალხის ბედი მათსავე ხელშია, მაგრამ მალე ამ ბედის სადავეები ხელიდან გაუსხლტებათ.

დემოკრატიის შეცნობა, დემოკრატიული იდეალების აღორძინება, ზნეობრივი განმეორება, დემოკრატიულ მოძრაობათა მოწესრიგება, მოქალაქეთა თანდათანობითი ზიარება სახელმწიფოს მმართველობის საქმიანობასთან, მათი განთავისუფლება ამგვარი მოღვაწეობისათვის გამოუცდელი სახისაგან და მათი ბრმა ინსტიტუტების ჩანაცვლება ჭეშმარიტი ინტერესების ცოდნით; ამასთან ერთად, მმართველობის სისტემის შესაბამისობაში მოყვანა დროსა და ადგილთან; მისი [მმართველობის] მოდიფიცირება გარემოებათა და ადამიანთა მიხედვით – ასეთი გახლავთ ის უმთავრესი მოვალეობანი, რომლებიც ამჟამად ეკისრებათ საზოგადოების მმართველებს.

სრულიად ახალ სამყაროს ახალი პოლიტიკური ცოდნა ესაჭიროება.

მაგრამ სწორედ ამაზე თითქმის არ ვფიქრობთ – სწრაფ მდინარეებში მოქცეულთ ჯიუტად გვიჭირავს თვალი იმ ზოგიერთ ნანგრევზე, ჯერ კიდევ რომ მოჩანს ნაპირზე. არადა წყლის დინება ჩვენს ზურგს უკან არსებული უფსკრულებისაკენ მიგვაქანებს.

ამ დიდ სოციალურ რევოლუციას – ახლახან რომ აღვწერე – ევროპის არც ერთ ხალხში არ გამოუწვევია ისეთი სწრაფი პროგრესი, როგორც ჩვენში. თუმცა, აქ იგი ყოველთვის ალაღბებზე მიმდინარეობდა.

ჩვენი ქვეყნის გამგებელთ არასოდეს უფიქრიათ იმაზე, რომ წინასწარ შეემზადებინათ მისთვის ნიადაგი; რევოლუცია ხდებოდა ან მათი ნების წინააღმდეგ, ან მათი ნებართვის გარეშე. ერის ყველაზე ძლიერი, ყველაზე ინტელექტუალური და ზნეობრივად დანიშნული ფენები არასოდეს ცდილობდნენ დაუფლებოდნენ მისი წარმართვის საშუალებებს. ამიტომ დემოკრატია ველური ინსტიტუტების ძალაუფლების ანაბარა იყო მიტოვებული; ის იზრდებოდა მშობლების მზრუნველობას მოკლებული ბავშვების მსგავსად, ჩვენი ქალაქების ქუჩებში რომ დაძრწიან და საზოგადოების მხოლოდ მანკიერებებსა და უბადრუკობას აწყდებიან. როგორც ჩანს, დემოკრატიის არსებობა ჯერ კიდევ არასაკმარისად არის გაცნობიერებული ადამიანთა მიერ. როცა ის მოულოდნელად ეუფლება ძალაუფლებას, მაშინ თითოეული მონურად ესწრაფვის, შეასრულოს მისი უმცირესი სურვილებიც კი. მას ეთავყვანებიან როგორც ძალის განმასახიერებელ კერპს, ხოლო, როდესაც დემოკრატია სუსტდება თავისივე ექსცესების გამო, კანონმდებლები იწყებენ არაგონივრულ ფიქრს მისი განადგურების შესახებ; ნაცვლად იმისა, რომ ეცადონ მის გამოსწორებას, მისეული მართვის ხელოვნების დახვეწას, ისინი მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, თუ როგორ ჩამოაცილონ დემოკრატია მმართველობას.

ამის გამო, დემოკრატიული რევოლუცია საზოგადოების ცხოვრებაში ხდება ისე, რომ მას არ სდევს კანონთა, იდეათა და ჩვევთა გარდაქმნა; ეს კი აუცილებელია ხსენებული რევოლუციის იმ მიზნების მისაღწევად, რომლებიც სასარგებლო უნდა იყოს ხალხისთვის. ამ გზით კი ჩვენ მივიღებთ დემოკრატიას ისე, რომ არ გვექნება ხარვეზების შემარბილებელი და მისი ბუნებრივი უპირატესობების წარმომარჩინებელი საშუალებები. უპირველესად, ვხედავთ მის მიერ მოტანილ ბოროტებებს, მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიცით ის სიკეთენი, რომელთა მოცემაც მას ძალუძს.

როდესაც არისტოკრატიაზე დაყრდნობით სამეფო ხელისუფლება მშვიდად მართავდა ევროპის ხალხებს, საზოგადოება – მისივე გაჭირვების მიუხედავად – მაინც მრავალი სახის სიკეთით სარგებლობდა. ეს ამჟამად, ჩვენს დროში, ერთობ ძნელი გასაგები და შესაფასებელია.

რამდენიმე ცალკეული ქვეშევრდომის ძლიერება მეფისათვის გადაულახავი ზღუდის მაგივრობას ნევდა; ეს კი მას ხელს უშლიდა, ტირანად ქცეულიყო. ამასთანავე, მეფეები გრძნობდნენ, რომ ბრბოს თვალში ისინი ღვთის სწორს წარმოადგენდნენ; მათდამი ამგვარ დამოკიდებულებაში მხარდაჭერას ხედავდნენ და ცდილობდნენ, ბოროტად არ გამოეყენებინათ ძალაუფლება.

მეფეები საკმარისად შორს იდგნენ ხალხისაგან, მაგრამ მაინც იჩენდნენ მისი ბუნებისადმი ისეთსავე კეთილმოსურნეობასა და ინტერესს, როგორითაც მწყემსია განწყობილი თავისი სამწყსოს მიმართ; ისინი ღარიბებს თავიანთ სწორად არ მიიჩნევდნენ, მათ ხვედრზე ზრუნვა კი თავად განგებისაგან მათზე დაკისრებულ მოვალეობად მიაჩნდათ.

ხალხს შესისხლხორცებული ჰქონდა თავისი სოციალური მდგომარეობა; არც კი ფიქრობდა, თუ შეიძლებოდა ოდესმე თავისი ბატონის თანასწორი გამხდარიყო. ხალხი დიდებულთაგან წყალობას იღებდა და მათ უფლებებს სადავოს არ ხდიდა. უყვარდა კეთილმონყალე და სამართლიანი ბატონები და უდრტვინველად, ქვენა გრძნობების გარეშე მორჩილებდა მათ სიმკაცრეს – როგორც გარდუვალ ბოროტებას, რასაც მათ თავად ღვთის ნება უგზავნიდა. ბოლოს და ბოლოს, ჩვევებმა და ადათ-წესებმა გარკვეულწილად დაუდგინეს ზღვარი ტირანიას და შექმნეს ერთგვარი სამართალი, რომელიც ეფუძნებოდა ძალას.

დიდებულს აზრადაც არ მოსდიოდა, რომ ვინმე მოისურვებდა მისთვის წაერთმია ის პრივილეგიები, რომლებიც მას კანონიერად მიაჩნდა; ამასთან, რაკი ყმაც თავის მდაბიო მდგომარეობას უყურებდა როგორც ბუნებრივ, უცვლელ შედეგს, შესაძლებელია, წარმოვიდგინოთ, რომ ამ ორ, ესოდენ განსხვავებული ხვედრის მქონე კლასს შორის შეიძლება დამყარებულიყო ერთგვარი ურთიერთკეთილმოსურნე განწყობა. იმ დროს საზოგადოება ხედავდა უთანასწორობასა და გაჭირვებას, მაგრამ ადამიანთა სულები დეგრადირებული არ იყო.

ადამიანებს ხრწნის არა თავად ძალაუფლების გამოყენება, ან მორჩილების ჩვევა, არამედ იმ ძალაუფლების გამოყენება უკანონოდ რომ მიაჩნიათ და იმ ხელისუფალთადმი მორჩილება, რომელთაც ისინი უზურპატორებად და მჩაგვრელებად აღიქვამენ.

ერთთა ხელში იყო ქონება, ძალა, თავისუფალი დრო, რაც ხელს უწყობდა მათ ლტოლვას ფუფუნებისაკენ, ნატიფი გემოვნებისაკენ, სულიერი ტკბობისაკენ და ხელოვნების კულტისაკენ; მეორეთა ხვედრი კი იყო მძიმე შრომა, უხეშობა და უვიცობა.

თუმცა ამ უბირ და უხეშ ბრბოშიც იყვნენ ძლიერი ვნებებით, კეთილშობილური გრძნობებით, ღრმა რწმენებითა და ბუნებრივი სიქველით დაჯილდოებული ადამიანები.

ამგვარად მოწყობილი საზოგადოების სოციალური კორპუსი უნდა ყოფილიყო მდგრადი, ძლიერი და დიდებისადმი განსაკუთრებული ლტოლვის მქონე.

მაგრამ, აი, იწყება რანგობრივ სხვაობათა აღრევა; ადამიანთა შორის აღმართული მაღალი ზღუდეები დაბლდება, ერთიანი ადგილ-მამული ნაწილდება, ძალაუფლება უმრავლესობის ხელში გადადის, ვრცელდება განათლება, თანაბრდება ადამიანთა ინტელექტუალური შესაძლებლობანი. სოციალური მდგომარეობა ხდება დემოკრატიული და, საბოლოოდ, ეს დემოკრატია მშვიდად ამკვიდრებს თავის გავლენას პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და საზოგადოების ზნე-ჩვეულებებზე.

მე წარმოვიდგენ ისეთ საზოგადოებას, რომლის ყველა წევრს, რაკი კანონს როგორც საკუთარ საქმეს ისე უყურებენ, უყვარს ის და უდრტვინველად ემორჩილება მას; სადაც მმართველობის ძალა სარგებლობს პატივისცემით, არა როგორც ღვთიური განგება, არამედ როგორც მინიერი აუცილებლობა; სადაც სიყვარული, რომელსაც ადამიანები განიცდიან სახელმწიფოს მეთაურისადმი, არის არა ვნება, არამედ გონივრული და მშვიდი გრძნობა; როცა თითოეული ადამიანი აღჭურვილია უფლებებით და დარწმუნებულია, რომ ამ უფლებებს არ წაართმევენ. საზოგადოების ყველა კლასს შორის შეიძლება დამყარდეს ერთგვარი ურთიერთკეთილგანწყობა და რაინდული ნდობა, რაც ისევე შორსაა სიამაყის გრძნობისაგან, როგორც სიმდაბლისაგან.

ჭეშმარიტი ინტერესების გაცნობიერების შემდეგ, ხალხი თანდათან მიხვდებოდა, რომ საზოგადოების მიერ ბოძებული სიკეთეებით სარგებლობისათვის საჭიროა, მასზე დაკისრებული მოვალეობების აღსრულება. მოქალაქეთა თავისუფალ ერთობას შეეძლებოდა შეეცვალა კეთილშობილთა ინდივიდუალური ძლიერება და დაეცვა სახელმწიფო ტირანიისა და თავგასულობის საფრთხისაგან.

მე მესმის, რომ ამგვარად მოწყობილ დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოება არ იქნება უძრავი. სოციალური კორპუსის მოქმედებებიც მოწესრიგებული და პროგრესული იქნება; ამგვარ საზოგადოებაში დიდების ბრწყინვალეობა უფრო ნაკლებია, ვიდრე არისტოკრატიაში, მაგრამ, სამაგიეროდ, მას მაინც არ შეაწუხებს ესოდენ უკიდურესი გაჭირვება; სიამოვნებით ტკბობა გახდება უფრო ზომიერი, კეთილდღეობა – ბევრად ზოგადი. ადამიანთა ცოდნა მოკლებული იქნება ფართო მასშტაბებს, სამაგიეროდ უვიცობა დაიხვეს უკან; გრძნობები აღარ იქნება ვნების ენერგიით აღსავსე, მაგრამ ქცევა, სურვილები ზომიერი და რბილი შეიქნება; ცხოვრებას უფრო მეტი ხარვეზები ექნება, სამაგიეროდ უფრო ნაკლები დანაშაული მოხდება.

უწინდელი ენთუზიაზმისა და რწმენათა სიცხოველის ნაცვლად, განათლება და გამოცდილება მყისვე აღანთებს მოქალაქეებს დიდი მსხვერპლის გასაღებად; ყოველი ადამიანი თანაბრად იგრძნობს საკუთარ სისუსტეს და მოთხოვნილებას, კეთილად განეწყოს თავის მსგავსთა მიმართ; იგი მიხვდება, რომ მათ მხარდაჭერას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ თავადაც მზად იქნება მათ დასახმარებლად. მოქალაქეები იოლად შეიგნებენ, რომ მათი პირადი ინტერესები უმჭიდროესადაა დაკავშირებული საზოგადოების ინტერესებთან.

ამ შემთხვევაში მთლიანად ერი იქნება ნაკლებად ბრწყინვალე, ნაკლებად სახელოვანი, მაგრამ მოქალაქეთა უმრავლესობა უფრო დატკბება ბედის წყალობით; მთელი ხალხიც ბევრად მეტი სიმშვიდით შეხვდება თავის ხვედრს, არასოდეს მიეცემა სასონარკვეთილებას, რადგან გულის სიღრმეში გაცნობიერებული იქნება რწმენა იმისა, რომ კარგად ცხოვრობს.

მოვლენათა ამგვარი მიმართების დროს ყველაფერი კარგი და სასარგებლო ვერ იქნება, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, საზოგადოება მაინც შეძლებს მისგან შეითვისოს ყოველივე ის, რაც შესაძლოა, იყოს კარგი და სასარგებლო და ადამიანები, რომლებიც სამუდამოდ იტყვიან უარს არისტოკრატიული წყობის თანამდევ სოციალურ უპირატესობებზე, დემოკრატიიდან აიღებენ ყოველივე იმ სიკეთეს, რომელთა შეთავაზებაც მას შეუძლია.

მაგრამ, როდესაც დავტოვებ ჩვენს წინაპართაგან მიღებული სოციალური მდგომარეობა, როდესაც უნესრიგოდ გადავყარეთ მათი პოლიტიკური ინსტიტუტები და ადათ-წესები, რა მივიღებთ ჩვენ მათ სანაცვლოდ?

სამეფო ხელისუფლების პრესტიჟი ისე გაქრა, რომ კანონთა უზენაესობას იგი არ შეუცვლია. ჩვენს დროში ადამიანებს სძულთ ძალაუფლება, მაგრამ ეშინიათ მისი, შიშს კი შეუძლია უფრო მეტი გამოსტყუოს მას, ვიდრე ოდესღაც ეს პატივისცემასა და სიყვარულს შეეძლო.

ჩვენ დავთრგუნეთ ცალკეული ინდივიდის ძლიერება, რომელთაგან თითოეულს დამოუკიდებლად შეეძლო ბრძოლა ტირანიის წინააღმდეგ. ვხედავ, რომ მმართველობა აღმოჩნდა ერთადერთი მემკვიდრე ყველა იმ პრეროგატივისა ოჯახებს, კორპორაციებს ან კერძო პირებს რომ ჩამოერთვათ. ზოგჯერ დამთრგუნველი, მაგრამ ხშირად მოქალაქეთა მცირე რიცხვის დამცველი შესაძლებლობები ყველას უღონობამ შეცვალა.

ქონების დანაწილებამ, მართალია, შეამცირა ის მანძილი უპოვარს მდიდრისაგან რომ ამორებდა, მაგრამ ერთმანეთთან დაახლოებისას მათ სულ უფრო და უფრო ახალი მიზეზები იპოვეს ურთიერთსიძულვილისათვის; შეჰყურებენ რა ერთმანეთს შიშით, ეჭვითა და შურით, ერთიმეორეს ხელს კრავენ, რათა ერთმანეთი ჩამოაცილონ ძალაუფლებას. როგორც ერთის, ისე მეორისათვის, ჯერ კიდევ არ არსებობს სამართლის იდეა და ორივეს ეჩვენება, რომ ანმყოში არსებობის ერთადერთი საფუძველი და მომავლის გარანტი ძალაა.

ღარიბმა შეინარჩუნა თავის წინაპართაგან მემკვიდრეობით მიღებული ცრურწმენები; შეინარჩუნა მათი უვიცობა, მხოლოდ მათი სიქველევების გარეშე; მან თავისი ქმედებები დაუმორჩილა პირადი ინტერესების დოქტრინას, თანაც ისე, რომ სათანადოდ არც იცოდა ეს მოძღვრება. დღეს მისი ეგოიზმი ისევე მოკლებულია განათლებას, როგორც ოდესღაც მისი თავდადება და ერთგულება ბატონისადმი.

საზოგადოება სიმშვიდეს ინარჩუნებს არა იმიტომ, რომ თავის შესაძლებლობებსა და კეთილდღეობას აცნობიერებს, არამედ იმიტომ, რომ თავს სუსტად და უძლურად თვლის; მას ეშინია, ნებისმიერი ძალისხმევა სიცოცხლის ფასად არ დაუჯდეს. თითოეული ცალ-ცალკე გრძნობს მთელი საზოგადოების არასახარბიელო მდგომარეობას, მაგრამ არავის ჰყოფნის ვაჟკაცობა და ენერგია, რათა მისი გაუმჯობესება სცადოს. მათი სურვილები, სინანული, დარდი და სიხარული არაფერ საგრძნობსა და მდგრადს არ წარმოქმნის, მოხუცთა გამოფიტული ვნებების მსგავსად, რასაც ეს დაუძლურებული ადამიანები მხოლოდ უძლურებამდე მიჰყავს.

ამრიგად, ჩვენ უარი ვთქვით ყველა იმ სიკეთეზე, რომელიც შეიძლება მოეცა ძველ საზოგადოებრივ წყობას, ამასთან, არ შევიძინეთ არაფერი სასარგებლო ჩვენი ამჟამინდელი მდგომარეობიდან, ამიტომაც ჩვენ დავანგრეთ არისტოკრატიული საზოგადოება და თვინიერად შევჩერდით ძველი შენობის ნანგრევებს შორის, თითქოს სამუდამოდ აქ გვსურდეს დარჩენა.

ის, რაც საზოგადოების სულიერ სამყაროში ხდება, არანაკლებ სავალალოა.

საფრანგეთის დემოკრატიამ, რომლის განვითარებასაც ხან აბრკოლებდნენ, ხანაც მისი დაუოკებელი ვნებების ამარა ტოვებდნენ, დაამხო ყველაფერი, რასაც კი გზად გადააწყდა, და რაც ვერ დაანგრია, შეარყია. იგი საზოგადოებას თანდათან არ ეუფლებოდა, რათა მშვიდობიანად დაემყარებინა თავისი ძალაუფლება; პირიქით, შეუჩერებლივ წინ მიინეჭდა უნესრიგობასა და ხოცვა-ჟლეტის გნისში. ბრძოლის ჟინით შეპყრობილი, თავის მოწინააღმდეგეთა მოსაზრებებითა და უკიდურესობებით გაღიზიანებული, მზად იყო, საკუთარი რწმენის ბუნებრივი ზღვრებიც დაენგრია. თითოეული ადამიანი კარგავდა თავის ძიებათა საგანს, იყენებდა იმ ენას, რომელიც ცუდად გამოხატავდა მის ჭეშმარიტ გრძნობებსა და იდუმალ ინსტინქტებს, გულისთქმას. აქედან წარმოიქმნა ის უცნაური აღრევა, რომლის იძულებით მოწმენიცა ვართ.

ამაოდ ვეძებ ჩემს მეხსიერებაში და ვერაფერს ვპოულობ ისეთს, რაც აღმიძრავს უფრო მეტ ტკივილსა და სიბრალულს, ვიდრე ის, ჩვენს თვალწინ რომ ხდება; ჩვენს დროში თითქოს განწყვიტეს ის ბუნებრივი ჯაჭვი, რომელიც შეხედულებებს აკავშირებს მიდრეკილებებთან, ქმედებებს –

რწმენასთან; ის ჰარმონიული შესაბამისობა, რომელიც ყველა დროში შეინიშნებოდა ადამიანთა გრძნობებსა და იდეებს შორის, განადგურებულია, ხოლო ზნეობრივი ანალოგიის ყველა კანონი, შეიძლება ითქვას, გაუქმებულია.

ჩვენს შორის ჯერ კიდევ შეხვდებით თავგამოდებულ ქრისტიანებს, რომლებიც თავიანთ მორწმუნე სულს იმქვეყნიური ცხოვრების ჭეშმარიტებებით ასაზრდოებენ. ქრისტიანები, რომლებიც აღფრთოვანებით ემხრობიან ადამიანის თავისუფლებას, როგორც ყოველგვარი ზნეობრივი სიდიადის სათავეს; ქრისტიანობა, რომელმაც ღმერთის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობა გამოაცხადა, არ შეეწინააღმდეგება იმას, რომ კანონის წინაშეც ყველა მოქალაქე თანასწორი იყოს. მაგრამ მოვლენათა უცნაური დინების გამო, რელიგია მყისვე აღმოჩნდა კავშირში იმ ძალებთან, რომელსაც ებრძვის და ამხობს დემოკრატია; ამიტომ მას ხშირად უწევს თავისი საყვარელი თანასწორობის უარყოფა და თავისუფლების გამოხატვა, როგორც მეტოქისა, მაშინ როდესაც ხელი რომ ჩაეველო მისთვის [თავისუფლებისათვის], შეეძლო, ამ უკანასკნელის ძალისხმევითა კურთხევა.

მორწმუნე ადამიანთა გვერდით ისინიც არიან, რომელთა შეხედულებებიც უფრო მინიერია და არა ზეციური; თავისუფლების მომხრენი, ამ უკანასკნელში ხედავენ რა ყველაზე უფრო კეთილშობილურ სიქველეთა სათავეს და უტყუარ საშუალებას საზოგადოებრივი კეთილდღეობის მისაღწევად, გულწრფელად ცდილობენ, დაეხმარონ მას ძალაუფლების დამკვიდრებაში, რათა ადამიანებმა იგემონ მისი მადლი. მიმაჩნია, რომ თავისუფლებისათვის მებრძოლთა დახმარებისათვის სასწრაფოდ უნდა მიმართონ რელიგიას, რადგან თავისუფლების ბატონობა არ მიიღწევა ზნეობის გარეშე, ისევე როგორც შეუძლებელია ზნეთა დამკვიდრება რწმენის გარეშე. მათ ეს კარგად უნდა ჰქონდეთ შეგნებული. მაგრამ მოხდა ისე, რომ მათ როგორც კი შენიშნეს თავიანთი მოწინააღმდეგეთა რიგებში მორწმუნენი, ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ზოგს რელიგიაზე მიეტანა იერიში, ზოგს კი მისი დაცვა ვერ გაეხებდა.

გასულ საუკუნეებში მდაბალი სულის ადამიანები მონობას ქება-დიდებას ასხამდნენ, თავისუფლებისმოყვარენი და კეთილშობილნი კი უიმედოდ, მაგრამ მაინც იბრძოდნენ ადამიანის თავისუფლების გადასარჩენად. თუმცა ჩვენს დროში ხშირად ხდება, რომ ბუნებით კეთილშობილი და ამაყი ადამიანები მხარს უჭერენ მათივე საკუთარი ბუნების პირდაპირ საწინააღმდეგო მოსაზრებებს, ხოტბას ასხამენ იმ მონურ ქედმოხრას და სულიერ სიმდაბლეს, რაც უცხოა მათი პიროვნული ხასიათისათვის. ზოგნი კი, პირიქით, ისე ლაპარაკობენ თავისუფლებაზე, გეგონებათ, პირადად ეგრძნოთ მისი სინმინდე-სიდიადე და ბაქიბუქით ითხოვენ ადამიანის იმ უფლებათა დაცვას, რომელთაც თავად არასოდეს ცნობდნენ.

მე ვიცი, რომ არსებობენ ქველი და განონასწორებული ადამიანები, რომელთაც თავიანთი ზნეობრივი სინმინდე და მშვიდი ჩვევები, პირდაპირობა და განათლება ბუნებრივად ხდის მოსახლეობის თავკაცებად იმ მხარეში, სადაც ისინი მკვიდრობენ. სამშობლოსადმი წრფელი სიყვარულით აღსავსენი, მზად არიან მისი გულისათვის დიდი მსხვერპლი გაიღონ; მიუხედავად ამისა, ხშირად ხდება ისეც, რომ ცივილიზაციას ისინი მოწინააღმდეგეებად ევლინებიან, რაკი ისინი ცივილიზაციის ნაკლოვანებებს მის ღირსებებში ურევენ და ბოროტების იდეას განუწყვეტლივ უკავშირებენ სიახლის იდეას.

ამათ გვერდით ვხედავ მათაც, ვინც პროგრესის სახელით ცდილობენ, ადამიანები აქციონ მატერიალისტებად, სარგებელს დახარბებულ ადამიანებად, რომელთაც თავის შენუხება არ უნდათ სამართლიანობაზე, რელიგიურ რწმენაზე დამყარებულ მეცნიერების განვითარებაზე და სიქველზე დაფუძნებულ კეთილდღეობაზე ზრუნვით. ეს ადამიანები – თავიანთ თავს თანამედროვე ცივილიზაციისათვის მებრძოლებს რომ უწოდებენ – ხშირად საზოგადოების თავკაცებიც ხდებიან, თანდათან ეპატრონებიან განთავისუფლებულ თანამედრობებს, რომელთა ღირსნიც არ არიან.

რა ხდება ჩვენს თავს?!

მორწმუნენი თავისუფლების წინააღმდეგ გამოდიან, თავისუფლების ქომაგნი კი რელიგიას უტყვენ; დაუმორჩილებელი და სულგრძელი ადამიანები მონობას ადიდებენ, მდაბიონი და მონურად მლიქვნელნი დამოუკიდებლობას აქებენ; პატიოსანი და განათლებული მოქალაქეები ყოველგვარი პროგრესის მტრად ქცეულან, ხოლო ყოველგვარ ზნეობასა და პატრიოტიზმის გრძნობას მოკლებულნი, თავს ცივილიზაციისა და განმანათლებელთა მოციქულებად აცხადებენ!

ხომ არ ხდებოდა ჩვენი დროის მსგავსი რამ სხვა საუკუნეებშიც? ადამიანს – ისე, როგორც ეს ამჟამადაა – ნუთუ ყოველთვის თვალწინ ედგა მსოფლიო, მოკლებული განვითარების ყოველგვარ

ლოგიკურ თანმიმდევრობას?! მსოფლიო, სადაც სიქველეს ნიჭი არ ახლდა, ნიჭს კი ღირსება არ გააჩნდა, სადაც წესრიგისადმი პატივისცემა აღრეული იყო ტირანულ მიდრეკილებებთან, ხოლო თავისუფლების, როგორც წმინდა კულტის, აღიარება – კანონებისადმი სიძულვილთან; სადაც სინდისი მხოლოდ მკრთალ ნათელს ჰფენდა ადამიანთა ქმედებებს; სადაც აღარ ჩანდა, რა იყო აკრძალული, ან დაშვებული, მისაბაძი ან სამარცხვინო, ჭეშმარიტი ან მცდარი.

იქნებ შემოქმედმა ადამიანი იმისათვის შექმნა, რათა მას დაუსრულებლად ებრძოლა იმ სულიერი სილატაკის წინააღმდეგ ჩვენ რომ გარს გვარტყია? არ შემოძლია ამის დაჯერება... ღმერთი ევროპულ საზოგადოებებს განუმზადებს უფრო მყარ და მშვიდ მომავალს. მე, რა თქმა უნდა, ღრმად ვერ ვწვდები ღვთიურ ზრახვებს, მაგრამ ამის გამო ჩემს რწმენას ვერ ჩავაქრობ, ვამჯობინებ, უმაღლესი საკუთარი გონებრივი წვდომის უნარში დავეჭვდე, ვიდრე უზენაესის სამართლიანობაში.

მსოფლიოში არის ერთი ქვეყანა, სადაც იმ დიდმა სოციალურმა რევოლუციამ, რომლის შესახებაც მე ვლაპარაკობ, ეტყობა, თითქმის მიაღწია თავისი განვითარების ბუნებრივ საზღვრებს. იქ ხსენებული რევოლუცია ძალზე მარტივი და იოლი ფორმით მოხდა და, შეიძლება ითქვას, რომ დღეს ეს ქვეყანა დემოკრატიული რევოლუციის შედეგებს იმკის; ჩვენში მიმდინარე დემოკრატიულ რევოლუციას კი თავად სოციალური რევოლუცია არ განუცდია.

XVII საუკუნის დასაწყისში ამერიკაში დაფუძნებულმა ემიგრანტებმა როგორღაც შეძლეს დემოკრატიის პრინციპის განცალკევება ყველა იმ პრობლემისაგან, რომელთა წინააღმდეგაც ისინი იბრძოდნენ ევროპის ძველ საზოგადოებათა წიაღში, და მხოლოდ იგი გადანერგეს ახლად აღმოჩენილ სამყაროში. იქ დემოკრატიის პრინციპები თავისუფლების წიაღში განვითარდა და ადათ-წესებთან თანხმობით უმტკივნეულოდ განხორციელდა კანონებში. მეჩვენება, რომ ჩვენც, ამერიკელთა მსგავსად, ადრე თუ გვიან მივალწვეთ ადამიანთა მდგომარეობის თითქმის სრულ თანასწორობას. ზემოთქმულის საფუძველზე სრულიადაც არ ვასკვნი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჩვენც იძულებული ვიქნებით, უცილობლად ვაღიაროთ ყველა ის პოლიტიკური დასკვნა, რომელიც ამერიკელებმა გამოიტანეს ამგვარი სოციალური მდგომარეობიდან. ძალზე შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ მათ აღმოაჩინეს მმართველობის ის ერთადერთი ფორმა, რომელიც შეიძლება მხოლოდ დემოკრაციამ შვას; მაგრამ საკმარისია შევიგნოთ, რომ ორ ქვეყანაში კანონები და ადათ-წესები განისაზღვრება ერთი და იმავე პირველმიზეზით, რომ ჩვენ უკვე უდიდესი ინტერესი გამოვიჩინოთ იმის მიმართ, თუ სახელდობრ რას წარმოქმნის ეს პირველმიზეზი თითოეულ ამ ქვეყანაში.

ამრიგად, მე ამერიკა შევისწავლე არა მხოლოდ იმისათვის, რომ ჩემი სრულიად მისაღები ცნობისმოყვარეობა დამეკმაყოფილებინა, არამედ მსურდა, აქედან ის სასარგებლო გაკვეთილებიც მიმეღო, ჩვენ რომ გამოგვადგებოდა. ძალზე ცდებოდნენ, თუ იმას ფიქრობდნენ, რომ ჩემი სურვილი ამერიკის მაღივებელი პანეგერიკის შექმნა იყო; ნებისმიერი, ვინც ამ წიგნს წაიკითხავს, დარწმუნდება, რომ არაფერი ამის მსგავსი აზრადაც არ მქონია. ჩემი მიზანი ასევე არ ყოფილა ამერიკის სახელმწიფო მმართველობის ფორმის განდიდება, რადგან მე იმათ რიცხვს მივეკუთვნები, ვინც თვლის, რომ კანონები თითქმის არასოდეს არ არის აბსოლუტური სიკეთის შემცველი. არც იმის ნებას მივცემ თავს, საკუთარი მოსაზრებები შევთავაზო მკითხველს იმის თაობაზე, სოციალური რევოლუცია – რომელიც გარდუვალად მესახება – დამლუპველია თუ ხელსაყრელი კაცობრიობისათვის; მე შევეხე აღნიშნულ რევოლუციას, როგორც უკვე მომხდარ, ან მოსახდენად გამზადებულ ფაქტს და ყველა იმ ხალხის ისტორიიდან, რომელმაც მის მიერ გამოწვეული რყევები განიცადა, ავირჩიე ის, ვისთანაც მისი მიმდინარეობა იყო ყველაზე მშვიდობიანი და სადაც მისმა განვითარებამ მიაღწია სრულყოფილ ფორმას. მე მსურდა, ყურადღებით განმეხილა აღნიშნული რევოლუციის ბუნებრივი შედეგები და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მომეძია ის საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც მისგან ადამიანებისათვის სასარგებლოს გამოვიტანდი. ვაღიარებ, რომ ამერიკაში მე ვხედავდი არა მხოლოდ ამერიკას, არამედ მასში ვეძებდი თავად დემოკრატიის ხატს, მის თვისებებს, ხასიათს, დემოკრატიას ნაზიარები ხალხის რწმენას და ვნებებს. მსურდა, ჩავწვდომოდი მის სიღრმეს, რათა გამეგო, თუ რა სასიკეთოს შეიძლება ველოდოთ მისგან, ან რისი შიში უნდა გვქონდეს.

ამიტომ წინამდებარე თხზულების პირველ ნაწილში შევეცადე, მეჩვენებინა ის მიმართულება, რომელსაც ამერიკის დემოკრატია – ამჟამად მიშვებული საკუთარი ვნებებისა და ინსტინქტების ანაბარა – ბუნებრივად აძლევდა კანონებს, პროცესს, რომელსაც იგი ინვესტა სახელმწიფო მმართველობაში. ასევე მინდოდა, ზოგადად მეჩვენებინა ის ძალაუფლება, რომელსაც იძენდა ქვეყნის

პოლიტიკურ მართვაში, რა იყო მისი თანამდევნი სიკეთე და ბოროტება. ყურადღებით შევისწავლე დემოკრატიის წარმართვისათვის სიფრთხილის რა ზომებს მიმართავდნენ ამერიკელები და რას უგულუბელყოფდნენ; ამასთან, რა პირობები უწყობს ხელს დემოკრაციას, მართოს საზოგადოება.

თხზულების მეორე ნაწილში ჩემი მიზანი იყო, მეჩვენებინა ის გავლენა, რომელსაც ახდენს ადამიანთა მდგომარეობის თანასწორობა და დემოკრატიის ბატონობა ამერიკის სამოქალაქო საზოგადოებაზე, ჩვევებზე, იდეებსა და ადათ-წესებზე. მაგრამ ვგრძნობ, როგორ მიწვდებოდა ის ცხოველი ინტერესი, რითაც განვიზრახე ამ გეგმის განხორციელება. ვიდრე შევძლებ საბოლოოდ შევასრულო ჩემ მიერ დასახული ამოცანა, ჩემი სამუშაო თითქმის უსარგებლო აღმოჩნდება თუნდაც იმიტომ, რომ ერთი ავტორი მალე წარუდგენს მკითხველს ამერიკული ხასიათის ძირითად შტრიხებს და მთელი სერიოზულობის მსუბუქი პირბადით სინამდვილის დაფარვის შედეგად ისეთ ხიბლს მიანიჭებს ჭეშმარიტებას, რომლის მიღწევასაც მე ვერასოდეს შევძლებდი¹.

არ ვიცი, გასაგებად გადმოვეცი თუ არა ის, რაც ამერიკაში ვნახე, მაგრამ გულწრფელად კი მსურდა ამის გაკეთება. მე შეგნებულად არასოდეს ვუსადაგებდი ფაქტებს იდეებს, პირიქით, ვცდილობდი, თავად იდეები დამეჭვებინებინა ფაქტებისათვის.

როდესაც რაიმე დებულების დოკუმენტური დადასტურება მჭირდებოდა, ვცდილობდი, ორიგინალისათვის მიმემართა, გამომეყენებინა ყველაზე სარწმუნო და ავტორიტეტული შრომები². შენიშვნებში ყველა ეს წყარო მითითებულია, მათი შემონიშნება კი ყველას შეუძლია. როცა საკითხი ეხებოდა აზრებს, შეხედულებებს, პოლიტიკურ ტრადიციებსა და ადათ-წესებს, ვცდილობდი, კონსულტაციისათვის მიმემართა ყველაზე უფრო მცოდნე, საქმეში ჩახედული ადამიანებისათვის, სადავო და მნიშვნელოვანი მოვლენის განხილვის შემთხვევაში კი ერთი მონმის ჩვენებებს არ ვჯერდებოდი, გადანყვეტილებას მხოლოდ მრავალი ადამიანის მონაცემების საფუძველზე ვიღებდი.

აქ აუცილებლად უნდა მენდოს მკითხველი. საკუთარი მოსაზრების მხარდასაჭერად, ხშირად შემეძლო ცნობილი, ღირსეული ავტორიტეტები დამესახელებინა, მაგრამ ამისაგან შეგნებულად ვიკავებდი თავს. სასტუმროში გაჩერებული უცხოელი, არცთუ იშვიათად, სახლის მეპატრონისაგან იგებს ისეთ მნიშვნელოვან ამბებს, რომელთაც, შესაძლოა, ადამიანი თავის მეგობარსაც კი არ გაანდობს. მასპინძელს სტუმართან შეუძლია სული განიტვირთოს, უარი თქვას იძულებით სიჩუმეზე და თამამად ისაუბროს, რადგან მისი თანამეინახე ხანმოკლე დროის სტუმარია. ყოველ ამგვარ გულახდილ აღიარებასა თუ საუბარს, მაშინვე ვინერდი, მაგრამ ისინი სამუდამოდ ჩემს საქალაქდემი დარჩება; მირჩვენია, ჩემს მონათხრობს წარმატება დააკლდეს, ვიდრე მოვხვდე იმ მოგზაურთა სიაში, რომლებიც, გულუხვი სტუმართმოყვარეობისათვის, თავიანთ მასპინძლებს უსიამოვნებებითა და უხერხულ მდგომარეობაში ჩაგდებით უხდიდნენ.

ვიცი, ჩემი მცდელობის მიუხედავად, წინამდებარე წიგნის კრიტიკა ერთობ იოლი იქნება, თუ ვინმე ოდესმე ამას მოისურვებს.

ისინი, ვინც ყურადღებით მოეკიდებიან ნაშრომს, ვფიქრობ, მასში დაინახავენ ერთ დედააზრს, რომელიც ერთმანეთთან კრავს – თუ შეიძლება ასე ვთქვათ – ყველა მის ნაწილს. მაგრამ წიგნში განხილული თემები იმდენად მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანია, რომ ის, ვინც განიზრახავს ცალკეულ ფაქტსა და ჩემ მიერ მოტანილ ყველა ფაქტს შორის რაიმე წინააღმდეგობის შემჩნევას, ამის მისაღწევად დიდი ჯაფა არ დასჭირდება. ამიტომ, გთხოვთ, წყალობას და ჩემი წიგნი იმავე

1 იმ დროს, როდესაც წინამდებარე ნაშრომის პირველი გამოცემა გამოქვეყნდა, ბ-ნი გუსტავ დე ბომონი,* ამერიკაში მოგზაურობისას ჩემი თანამგზავრი, ჯერ კიდევ მუშაობდა თავის წიგნზე სათაურით – *Marie ou l'Esclavage aux Etat-Unis*. მოგვიანებით, იგი გამოაქვეყნა კიდევც. ბ-ნი ბომონი მთავარ ამოცანად ისახავდა წინა პლანზე წამოეწია შავკანიანთა მდგომარეობა ანგლო-ამერიკული საზოგადოების წიაღში. მისმა ნაშრომმა ახლებური და მძაფრი ახსნა მოუძებნა მონობის საკითხს – გაერთიანებული რესპუბლიკებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ამ პრობლემას. შესაძლოა, ვცდები, მაგრამ, ჩემი აზრით, ბ-ნ დე ბომონის წიგნმა, მას შემდეგ, რაც მან გამოიწვია ცხოველი ინტერესი მკითხველთა შორის, ვინც მასში ძლიერ ემოციებს და თვალსაჩინოებას ეძებდა, უფრო სოლიდური და მყარი წარმატება უნდა მოიპოვოს იმ მკითხველშიც, ვისაც, პირველ რიგში, სურს ნებისმიერ გამოკვლევაში დაინახოს ღრმა ჭეშმარიტება.

2 მუდამ მაღლიერებით გავიხსენებ იმ თავაზიანობას, რომელმაც საშუალება მომცა, გავცნობოდი ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების დოკუმენტებს. ამერიკელ სახელმწიფო მოღვაწეთაგან განსაკუთრებით მინდა მაღლობა გადავუხადო ბ-ნ ედვარდ ლივინგსტონს, იმხანად სახელმწიფო მდივანს (ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების სრულყოფილი ელჩის საფრანგეთში). ამერიკის კონგრესში ყოფნისას, მან სიამოვნებით გადმომცა დოკუმენტების უდიდესი ნაწილი, რომელშიც ასახული იყო ფედერალური მთავრობის საქმიანობა. ბ-ნი ლივინგსტონი ერთ-ერთი იმ იშვიათ ადამიანთაგანია, რომელთა ნაწერების კითხვისას მათდამი სიყვარულითა და პატივისცემით მანამდე განწყობიან ხოლმე, ვიდრე პირადად გაცივობენ, და მათდამი მაღლიერების გრძნობა ბედნიერებას ანიჭებთ.

განწყობითა და სულისკვეთებით ნაიკითხეთ, როგორითაც მე ვწერდი მას; ნაშრომი კი განსაჯონ იმ ზოგადი შთაბეჭდილებების მიხედვით, რომელსაც ის ტოვებს; მე თავადაც წიგნის დაწერის პროცესში ვეყრდნობოდი არა ამა თუ იმ ცალკეულ მოსაზრებას, არამედ მოსაზრებათა ერთობლიობას.

არც იმის დავინწყება იქნება, რომ ავტორმა, რომელსაც სურს გაუგონ, თითოეული თავისი იდეიდან, მსჯელობიდან უნდა გამოკვეთოს თეორიული შედეგი, თუნდაც ხშირად მცდარი და განუხორციელებელი. თუ ზოგჯერ პრაქტიკულად აუცილებელია უარის თქმა ლოგიკის კანონებზე, თხრობის დროს ეს შეუძლებელია, რადგან მკითხველი ასეთ დროს აწყდება იმდენ სირთულეს სიტყვათა არათანმიმდევრობაში, რამდენსაც ხვდება თავის ქმედებებში თანმიმდევრულობის შემთხვევაში.

დასასრულ, მე თავიდანვე მინდა მივუთითო ის, რასაც მკითხველთა დიდი ნაწილი ნაშრომის მთავარ ხარვეზად ჩამითვლის. წინამდებარე წიგნი კონკრეტულ მკითხველს, ან მკითხველთა ჯგუფს როდი გულისხმობს; მუშაობის პროცესში ჩემი განზრახვა არც რომელიმე პარტიის სამსახური ყოფილა, და არც მის წინააღმდეგ ბრძოლა; მე განვიზრახე წინამდვილე დამენახა არა სხვაგვარად, არამედ უფრო შორს, ვიდრე ამას პარტიები ხედავენ; მათ ხომ მხოლოდ ხვალინდელი დღე აინტერესებთ, მე კი მომავალზე ზრუნვა მოვისურვე.

ნაწილი პირველი

თავი I

ჩრდილოეთ ამერიკის გარე მოხაზულობა

ჩრდილოეთ ამერიკა გაყოფილია ორ ვრცელ რეგიონად: ერთი პოლუსისაკენ მიემართება, მეორე კი ეკვატორისაკენ ეშვება. – მდინარე მისისიპის ხეობა. აქ დედამიწის ცვალებადობის სურათი შეინიშნება. – ატლანტიკის ოკეანის სანაპირო, რომლის აყოლებაზეც შეიქმნა ინგლისური ახალშენები. – თვალნათლივი სხვაობა, რომელიც ახასიათებდა სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკას აღმოჩენის დროიდან. – ჩრდილოეთ ამერიკის ტყეები. – პრერიები. – ადგილობრივი მომთაბარე მკვიდრი ტომები. – მათი გარეგნობა, ადათ-ნესები, ენები. – უცნობი ხალხის ნაკვალევი.

ჩრდილოეთ ამერიკის გარე მოხაზულობის ზოგადი ნიშნები იმთავითვე თვალში გვხვდება.

მინისა თუ წყლის, მათათა თუ ხეობათა განლაგებაში გამოსჭვივის რაღაც ერთგვარი მეთოდური ნესრიგი. თვით საგანთა უნესრიგობასა და პეიზაჟთა უსაზღვრო მრავალფეროვნებაში რაღაც ბუნებრივი და დიადი კანონზომიერება შეინიშნება.

ჩრდილოეთ ამერიკა თითქმის თანაბრად იყოფა ორ ვრცელ რეგიონად.

ერთს, ჩრდილოეთით მდებარეს, არქტიკული პოლუსი ესაზღვრება, აღმოსავლეთითა და დასავლეთით კი ორი დიდი ოკეანე ეკვრის. სამხრეთისაკენ კონტინენტის ეს ნაწილი იშლება და ქმნის სამკუთხედს, მისი დაკბილული გვერდები კანადის დიდი ტბების ქვემოთ* უერთდებიან ერთმანეთს.

აი, სწორედ აქ მთავრდება პირველი რეგიონი და იწყება მეორე, რომელსაც ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის მთელი დანარჩენი ნაწილი უკავია.

ერთი რეგიონი აღმართულია პოლუსისაკენ, მეორე ეშვება ეკვატორისაკენ.

პირველი რეგიონი ოდნავ დამრეცადაა გადაშლილი ჩრდილოეთისაკენ და ზეგანის შთაბეჭდილებას ქმნის. ამ ვეება მინის თვალსაწიერზე ვერც მალალ მთებს და ვერც ღრმა ხეობებს ვერ შეხვდებით.

აქ წყლები ალალებდნენ მიიკლაკნებიან; პატარა მდინარეები ერთმანეთში იხლართებიან და ერთმანეთს უერთდებიან, შემდეგ ჭაობად დამდგარ ათასობით გუბურაში იკარგებიან და ქმნიან ჭანჭრობის ლაბირინთებს, რომელთა ნიაღში ყოველ ნამს თავადვე გზა ებნევათ, გაუთავებლად მოძრაობენ წრიულად, შემდეგ კვლავ იკარგებიან და ჩნდებიან, და ასე გრძელდება მათი დინება, ვიდრე პოლარულ ზღვებში არ ჩაიკარგებიან. ხსენებული რეგიონის დასასრული სამხრეთით მიუყვება დიდ ტბებს, რომლებიც, ძველი სამყაროს ტბათაგან განსხვავებით, ბორცვებით ან კლდეებით როდია შემოსაზღვრული; მათი სანაპიროები სწორია და მხოლოდ რამდენიმე ფუტით აღემატება წყლის დონეს. ფორმით თითოეული მათგანი ჰგავს პირთამდე წყლით სავსე უზარმაზარ ფიალას, რომელიც დედამიწის სტრუქტურაში მომხდარ უმცირეს ცვლილებებსაც კი შეეძლო პოლუსისაკენ ან ტროპიკული ზღვისაკენ გადაეპირქვავენა.

მეორე რეგიონის ლანდშაფტი უფრო დაღარულია, დასერილია და უკეთ ესადაგება ადამიანის მუდმივ საცხოვრებლად ვარგის ადგილს; რეგიონს მთელ სიგრძეზე კვეთს მთის ორი ქედი: ერთი, ალეგანის მთათა ქედის სახელით ცნობილი, მიუყვება ატლანტიკის ოკეანის სანაპიროებს; მეორე სამხრეთის ზღვის პარალელურადაა გადაჭიმული.

მთათა ამ ორ ქედს შორის მოქცეული სივრცე 228.843 კვადრატულ ლიეს შეადგენს.³ ასე რომ, მისი ფართობი, დაახლოებით ექვსჯერ აღემატება საფრანგეთისას.⁴

ეს ვრცელი ტერიტორია ქმნის მხოლოდ ერთ ხეობას, რომელიც თავისუფლად არის გადაჭიმული ალეგანის მთების მრგვალთხემიანი მწვერვალებიდან სალკლოვან ჭიუხებამდე.

ამ ხეობის სიღრმეში მიუყვება ერთი უზარმაზარი მდინარე, რომლისკენაც მიემართება ამ მთებიდან ჩამონადენი წყლები.

ოდესღაც, დაკარგული სამშობლოს სახსოვრად, ფრანგებმა ამ მდინარეს წმინდა ლუის სახელი უწოდეს, ხოლო ინდიელებმა, თავიანთ მალაღფარდოვან ენაზე, მას წყალთა მამა, ანუ მისისიპი უწოდეს.

3 1. 341. 649 მილი. იხ. *Darby's View of the United States*, p. 499. მე გადავიყვანე მილი ლიედ; თითოეულ ლიეში არის 2. 000 ტუაზი [ტუაზი – ძველებური ფრანგული სიგრძის საზომი ერთეული]; ერთი ლიე – დაახ. 4, 5 კმ (მთარგმ. შენ.).

4 საფრანგეთის ტერიტორია შეადგენს 35. 181 კვადრატულ ლიეს.

მდინარე მისისიპი სათავეს იღებს ორი უზარმაზარი რეგიონის მიჯნაზე, კერძოდ – იმ ზეგანის ერთ-ერთ მწვერვალზე, რომელიც ამ რეგიონებს ერთმანეთისაგან ყოფს.

მისისიპის მახლობლად სათავეს იღებს ერთი მდინარეც⁵ – რედ-რივერი, რომელიც შემდეგ პოლარულ ზღვებში ჩაედინება. თავად მისისიპის დინება ადამიანს აფიქრებინებს, თითქოს ყოყმანობს, ირჩევს თუ საით გააგრძელოს გზა – მიედინება, შემდეგ მრავალგზის ბრუნდება უკან, კვლავ მიაქანებს ტალღებს და მხოლოდ მას შემდეგ, რაც მდორედ გაინელება ტბებსა და ჭაობებს შორის, თითქოს საბოლოოდ იღებს გადანყვეტილებას, საით წავიდეს და ნელა, დინჯად გაუყვება გზას სამხრეთისაკენ.

თავად ბუნების მიერ გაჭრილ თიხნარ კალაპოტში მიედინება ხან მშვიდად მოლივლივ, ხანაც ქარიშხლით აზვირთებული მისისიპი, რომელიც მიმდებარე მიწებიდან ათას ლიეზე მეტ სავარგულს რწყავს⁶.

შესართავიდან ექვსას ლიეზე⁷ მისისიპის სიღრმე, საშუალოდ, 15 ფუტია და 300 ტონიანი წყალწვის ხომალდები თავისუფლად დაცურავენ ჩასართავიდან დაახლოებით ორასამდე ლიეს ზევით.

ორმოცდაჩვიდმეტი დიდი სანაოსნო მდინარის წყალი ჩაედინება მისისიპში. მის შენაკად მდინარეთაგან ერთის სიგრძე 1300 ლიეა⁸, მეორის 300 ლიე⁹, მესამის 600 ლიე¹⁰, მეოთხის 500 ლიე¹¹, ხოლო ოთხი შენაკადი 200 ლიე სიგრძისაა¹²; აღარაფერს ვამბობ უამრავ პატარა ნაკადულზე, ყოველი მხრიდან მისკენ რომ მიეშურება და მის ნიაღში იკარგება.

გეგონებათ, ეს ხეობა მხოლოდ მისისიპისათვის შექმნა განგებამ. აქ იგი ზეციური მბრძანებელივით თავისი სურვილისამებრ დიდ სიკეთეს გასცემს, მაგრამ არც დასჯას აკლებს იქაურობას. მდინარის მიმდებარე ტერიტორიის ბუნება ამოუნურავი სიუხვით გამოირჩევა, მაგრამ რაც უფრო შორდება მის ნაპირებს, ამკარად ჩანს, რომ მცენარეული სამყაროს მკვებავი ძალები იშრიტება, მიწები იფიტება, ყველაფერი ჭკნება და ნადგურდება. დედამიწის მიერ განცდილ დიდ კატაკლიზმებს ესოდენ ამკარა ნაკვალევი ამქვეყნად არსად ისე მკვეთრად არ დაუტოვებია, როგორც მისისიპის ხეობაში. ამ მხარის მთელი იერსახე მონმობს იმას, თუ რა ძალუძს წყლის სტიქიას, რომ ბუნების უნაყოფობაც და ბარაქაც წყალზეა დამოკიდებული. პირველყოფილი ოკეანის ტალღებმა ხეობის ნიაღში ჯერ სავეგეტაციო მიწების სქელი შრეები დაახვავეს და შემდეგ ხანგრძლივი დრო შეაღიეს მათ გადასწორებას. ამიტომ არის, რომ მდინარის მარჯვენა სანაპიროზე თვალუწვდენელი ველებია გადაჭიმული; ერთ მთლიან დიდ მინდვრად არის შეკრული მათი ზედაპირი, რომელიც ისე თანაბარია, თითქოს მინათმოქმედმა თავისი გუთნით მოასწორო. სამაგიეროდ, რაც მეტად უახლოვდებით მთებს, მინა სულ უფრო უსწორმასწორო და უნაყოფო ხდება; თითქოს ნიადაგი ათასგან გაუბურლავთ და პირველყოფილი კლდეები ხან აქ, ხან იქ ისე იკვეთებიან, თითქოს ჩონჩხის ძვლები და დარჩენილა რაღაც არსებისა, რომლის კუნთებიცა და ხორციც დრომ შთანთქა. მიწის ზედაპირი გრანიტის ქვიშითა და უსწორმასწორო ქვებითა დაფარული; ქვათა შორის კი აქა-იქ მინიდან ძლივს ამონვერილა რაღაც უცნობი მცენარეები. ამ მინდვრის შემხედვარე იტყოდით: ოდესღაც ნაყოფიერი ველი, რომელიც ვეება შენობის ნანგრევებს დაუფარავს. ამ ქვებსა და ქვიშას თუ ყურადღებით დააკვირდებით, იოლად შეამჩნევთ, რომ იგი კლდოვანი მთების უნაყოფო და ნაშალი მწვერვალებიდან არის ჩამორეცხილი და ჩამოტანილი, წყალთა დინებამ კლდეთა ნამუსრევიც ჩამოიყოლა და გზად სანაპირო ფერდობებზე მიმოფანტა. ნაშალმა ქანებმა – ერთმანეთთან შეჯახებით დაქუცმაცებულმა და ქვიშად ქცეულმა – მთისძირები მთებისავე თხემების ნამსხვრევებით მოფინა. [A]

მისისიპის ხეობა – ყოველივეს გათვალისწინებით – ყველაზე ღირსეული ქმნილებაა, რომელიც

5 ნითელი მდინარე.

6 2.500 მილი ანუ 1032 ლიე; იხ. *Description des Etats Unis, par Warden,* vol. I, p. 166.*

7 1364 მილი ანუ 563 ლიე; იხ. იქვე, ტ. I, გვ. 169.

8 მდინარე მისური, 1278 ლიე სიგრძის; იხ. იქვე, ტ. I, გვ. 132.

9 მდინარე არკაზანი, 877 ლიე სიგრძის; იხ. იქვე, ტ. I, გვ. 188.

10 ნითელი მდინარე იხ. იქვე, ტ. I, გვ. 190.

11 ოჰაიო, 490 ლიე იხ. იქვე, ტ. I, გვ. 192.

12 ილინოისი, სენ-პიერი, სენ-ფრანსუა, მუანიონა.

კი ოდესმე ღმერთს შეუქმნია ადამიანის საცხოვრისად, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ხეობაში ერთი თვალუნვდენელი უდაბნოც გვხვდება.

ალეგანის მთების აღმოსავლეთ ფერდობსა და ატლანტიკის ოკეანეს შორის ხსენებულ მთათა ძირს მიუყვება კლდოვანი ქვიშის გრძელი სარტყელი, რომელიც, გეგონებათ, ზღვას დარჩაო, როცა ამ მხარეს ტოვებდა. საშუალოდ, ამ ტერიტორიის სიგანე 48 ლიეს არ აღემატება,¹³ სიგრძე კი 300 ლიეს შეადგენს¹⁴ ამერიკის კონტინენტის ამ ნაწილში ნიადაგი ძნელად დასამუშავებელია, მცენარეულობა მწირი და ერთფეროვანია.

თავდაპირველად სწორედ ეს არასტუმართმოყვარე სანაპირო იქცა ადამიანთა ძალისხმევის კონცენტრაციის ადგილად. ამ უნაყოფო მიწის სარტყელზე დაფუძნდა და აღორძინდა ინგლისური ახალშენები, რომლებიც, ერთ მშვენიერ დღეს, ამერიკის შეერთებულ შტატებად უნდა ჩამოყალიბებულყო. ამჟამადაც, სწორედ ეს ადგილია ჩრდილოეთ ამერიკის ძლიერების კერა; დღესდღეობითაც, სადღაც მის განაპირა მხარეებში თითქმის შეუმჩნეველად მკვიდრდებოდა ჭეშმარიტი და მნიშვნელოვანი ძალა იმ ადამიანებისა, რომელთაც უდავოდ ეკუთვნით კონტინენტის მომავალი.

როდესაც ევროპელები ანტილიის კუნძულებს, მოგვიანებით კი სამხრეთ ამერიკის ნაპირებს მიადგნენ, მათ მოეჩვენათ, რომ მოხვდნენ იმ ზღაპრულ სამყაროში, რომელსაც პოეტები ოდიტგანვე ხოტბას ასხამდნენ. ზღვა ტროპიკული ფერების ბრწყინვალეებით ელვარებდა; წყლის საოცარი გამჭვირვალობის წყალობით, მეზღვაურთა მზერა პირველად ჩასწვდა ზღვის ფსკერს,¹⁵ აქა-იქ მოჩანდა პატარა კუნძულები, რომლებიც ოკეანის მშვიდ ზედაპირზე კეთილსურნელოვანი ყვავილების კალათებივით ლივლივებდნენ. ამ სამოთხისდარ ადგილებში ყველაფერი, რაც კი თვალწინ იშლებოდა, თითქოს ადამიანის მოთხოვნილებებისა და მისი სიამოვნებისათვის იყო შექმნილი. ხეთა უმრავლესობა საკვებად ვარგისი ხილით იყო დახუნძლული, ხოლო რასაც უშუალო სარგებლის მოტანა არ შეეძლო, ისინი ადამიანთა მზერას ფერთა სიკაშკაშითა და მრავალფეროვნებით ხიბლავდნენ. სურნელოვანი ლიმონით, ველური ლეღვით, მრგვალფოთოლა მირტებით, აკაციითა და ოლეანდრით სავსე ტყეში აყვავებული ლიანებით რომ იყო ყველაფერი ერთმანეთში გადახლართული, უამრავი, ევროპისათვის უცხო ჩიტი მენამული და ლაჟვარდისფერი ბუმბულის ფრთებით, ელვარებდა და თავისი დამატკობელი გალობით დაუდგრომელსა და სიცოცხლით სავსე ბუნების ჰარმონიას ერთვოდა. [B]

ამ მდიდრული საბურველის ქვეშ დაფარული იყო სიკვდილი, თუმცა მაშინ ამას ვერავინ ამჩნევდა; ირგვლივ ჰაერიც კი რაღაც გამაბრუებელი სურნელით იყო გაჯერებული, რაც ადამიანს მხოლოდ ანმყოთი ტკობას აიძულებდა და მომავლის მიმართ უზრუნველს ხდიდა.

ჩრდილოეთ ამერიკა სულ სხვაგვარი იყო: აქ ყველაფერი მნიშვნელოვანი, სერიოზული, ამაღლებული ჩანდა; იტყოდით, რომ განგებას იგი შეუქმნია გონების სამეუფეოდ, ხოლო სამხრეთ ამერიკა – გრძნობების საუფლოდ.

ჩრდილოეთ ამერიკის სანაპიროებს ბობოქარი და ნისლიანი ოკეანე ეკვროდა; გრანიტის კლდეები ან ქვიშის დიუნები სარტყელივით ერტყმოდა; ტყეები, რომლებიც მის სანაპიროებს ფარავდნენ, პირქუშად გამოიყურებოდნენ და უხვად შეფოთლილნი მელანქოლიას აღძრავდნენ. აქ ხარობდა მხოლოდ ნაძვი, ლარქისი, მწვანე მუხა, ველური ზეთისხილი და დაფნა.

ხეთა ამ პირველ სარტყელს როგორც კი გააღწევდით, ცენტრალური ტყის ჩრდილში მოხვდებოდით. იქ ერთმანეთში ირეოდა ყველაზე დიდი ხეები, რაც კი დედამიწის ორივე ნახევარსფეროზე ხარობს – ჭადარი, კატალპა, ნეკერჩხალი, ვირჯინიის ალვის ხე, რომლებიც ტოტებით გადახლართოდნენ მუხის, წიფელისა და ცაცხვის რტოებს.

აქაც, როგორც ადამიანების ბატონობას დაქვემდებარებულ ტყეებში, სიკვდილი დათარეშობდა, მაგრამ არავინ ფიქრობდა მის მიერ მიყენებული დარტყმების ნაკვალევსაგან ტყის განმენდას. ამიტომაც გამხმარ ხეთა და მცენარეთა ნარჩენები ერთიმეორეზე ხვავდებოდა; ძალზე დიდი დრო იყო საჭირო, რათა მცენარეს ეს საუკუნო დანალექი გამოერღვია და ახალი ამონაყარისათვის გზა

13 100 მილი.

14 დაახლოებით 900 მილი.

15 მალტ-ბრიონის* თანახმად [ტ. III, გვ. 726], კარიბის ზღვის წყალი იმდენად გამჭვირვალეა, რომ მასში 60 საჟენის სიღრმეზეც კი შეგიძლიათ ერთმანეთისაგან გაარჩიოთ მარჯანი და თევზი. შორიდან ისე ჩანს, თითქოს გემი ორთქლში გადისო და რაღაც თავბრუდამხვევის მაგვარი რამ იპყრობს მოგზაურს, როდესაც კრისტალურად გამჭვირვალე წყალში იგი ხედავს წყალქვეშა ბალებს, სადაც ზღვის წყალმცენარეთა კულულებსა და ჭალებში ოქროს თევზები ელვარებენ და ნიჟარები ბზინავენ.

გაეთავისუფლებინა. ეს ძნელი იყო, მაგრამ ამ ნარჩენთა ნიაღში ახალი სიცოცხლის წარმოქმნა ერთი წუთითაც არ წყდებოდა. ხვიარა მცენარეები და უამრავი სახის ბალახი მაინც ძლევდნენ დაბრკოლებას და აღწევდნენ მზის სინათლეს; მინაზე მოდებულნი, წაქცეულ ხეთა ფუტურო გულშიც აღწევდნენ, აქუცმაცებდნენ მის გამხმარ ქერქს და გზას უსუფთავებდნენ თავიანთ ღორთქო ამონაყარს. ასე ეხმარებოდა სიკვდილი სიცოცხლის დამკვიდრებას. აქ სიკვდილ-სიცოცხლე ერთმანეთს შეერთებოდა, გეგონებოდათ, ორივეს თავიანთ ქმედებათა ერთმანეთში აღრევა სურდა.

ამ ტყეებში წყვდიადი სუფევდა; ათასობით ნაკადულის წყალობით, რომელთა ჭავლსაც ადამიანის ხელი ჯერ არ შეხებოდა, აქ მუდმივი სინოტივე ჩაგუბებულყო. იშვიათად თუ შემოგხვდებოდათ ყვავილი, ველური ხილი, ჩიტების გუნდი.

ბუნების სიჩუმეს მხოლოდ დაფუტუროებული ხის დაცემის ზათქი, ჩანჩქერის ხმა, კამეჩთა ღმუილი და ქარის ზუზუნი არღვევდა.

დიდი მდინარის აღმოსავლეთით ტყეები თანდათანობით მეჩხერდებოდა და ადგილს თვალწინდელ მდელოებს – პრერიებს უთმობდა. აქ, ამ ნოყიერ ველებზე, თავად მაღლიანმა ბუნებამ აღარ ისურვა თავისი უხვი კალთა დაებერტყა და ხეთა თესლი მიმოფანტა, ან იქნებ ამ ადგილებსაც უმაღ უსიერი ტყე ფარავდა ოდესღაც ადამიანის ხელმა რომ გაკაფა? დღევანდლამდე ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ვერც გადმოცემებმა შეძლო და ვერც მეცნიერულმა ძიებებმა.

ამ უზარმაზარ, გაუკაცრიელებულ უდაბნოებს ადამიანის არსებობის ნაკვალევი მაინც ამჩნევია. საუკუნეთა განმავლობაში ადგილობრივ ტყეთა ჩრდილსა თუ მდელთა საძოვრებზე რამდენიმე ველური ტომი მომთაბარებოდა. ისინი მდ. წმინდა ლავრენტის შესართავიდან მდ. მისისიპის დელტამდე და ატლანტიკის ოკეანედან სამხრეთის ზღვამდე დაეხეტებოდნენ; ისინი ერთმანეთს ჰგავდნენ, ერთი საერთო ძირიდან მოდიოდნენ, სამაგიეროდ, დედამიწაზე არსებულ ადამიანთა ყველა ცნობილი რასისაგან განსხვავდებოდნენ.¹⁶ ისინი არც ევროპელებით თეთრები იყვნენ, არც ყვითლები – აზიელთა უმრავლესობის მსგავსად, არც ზანგებივით შავები. მათ ჰქონდათ მონითალო ფერის კანი, გრძელი, შავი, მზინავი თმა, თხელი ტუჩები და ლანგმაღალი ლოყები. ამერიკელ ველურ ტომთა სამეტყველო ენებს ერთი და იგივე გრამატიკული წესები ჰქონდა, მაგრამ ერთმანეთისაგან სიტყვებით სხვაობდნენ. აღნიშნული ენობრივი კანონები ძირეულად განსხვავდებოდა აქამდე ცნობილი იმ წესებისაგან, რომელთაც განაპირობეს ადამიანური მეტყველების ფორმირება.

ამერიკის მკვიდრთა იდიომატიკას* ეტყობოდა, რომ იგი შემუშავებული იყო ახალი კომბინაციების გამოყენებით; ეს კი მიუთითებდა მის შემქმნელთა მაღალ ინტელექტზე, რითაც თანამედროვე ინდიელები არ გამოირჩევიან. [C]

ხსენებულ ხალხთა სოციალური მდგომარეობა ბევრად განსხვავდება ძველი სამყაროს ხალხებისათვის დამახასიათებელი ყოფისაგან: შეიძლება ითქვას, რომ ისინი თავისუფლად გამრავლდნენ უდაბნოთა ნიაღში, უფრო ცივილიზებულ რასებთან კონტაქტის გარეშე. მათთან საერთოდ ვერ შეხვდებოდით სიკეთისა და ბოროტების ორაზროვან და განუსაზღვრელ ცნებებს; მათთვის უცხო იყო ოდესღაც ცივილიზებული, შემდეგ კი ბარბაროსებად ქცეული ხალხებისათვის დამახასიათებელი გამყიდველობა და კორუფცია, ჩვეულებრივ, უზნეობასა და უფიცობას რომ სდევს თან. ინდიელი ყველაფრისათვის მხოლოდ საკუთარი თავის წინაშე ვალდებული; თავადაა საკუთარი სიქველის, მანკიერებისა და რწმენის შემოქმედი; იგი გაზრდილია ბუნებაში და ბავშვობიდანვე შესისხლხორცებული აქვს საკუთარი ველური ბუნების დაუთრგუნავი დამოუკიდებლობა.

ცივილიზებულ ქვეყნებში ადამიანების უხეშობა მხოლოდ მათი უფიცობითა და სიღარიბით კი არ არის გამოწვეული, არამედ იმითაც, რომ ყოველდღიურად უხდებათ ურთიერთობა განათლებულ და მდიდარ ადამიანებთან.

საკუთარი უიღბლობისა და სისუსტის ყურება, რასაც ისინი ყოველდღე ხედავენ ზოგიერთ თავიანთ მსგავსთა კეთილდღეობისა და სიძლიერის ფონზე, მათ გულში ბადებს ბოღმასა და შიშს; საკუთარი არასრულფასოვნებისა და სხვათა ნებაზე დამოკიდებულების გრძნობა მათ თავმოყვარეობას აღიზიანებს და ამცირებს. ეს შინაგანი სულიერი მდგომარეობა მათსავე ზნეებსა და მეტ-

16 მოგვიანებით აღმოჩენილი იქნა გარეგნული, ენობრივი და ადათ-წესების გარკვეული მსგავსება ჩრდილოეთ ამერიკელ ინდიელებსა და ტუნგუსებს, მანჩუებს, მონღოლებს, თათრებსა და აზიის სხვა მომთაბარე ტომებს შორის. ეს უკანასკნელნი ცხოვრობდნენ ბერინგის ყურის მახლობლად, ეს კი საშუალებას იძლევა, ვივარაუდოთ, რომ, შესაძლოა, ძველად ისინი დასახლებულიყვნენ ამერიკის უკაცრიელ კონტინენტზე. მაგრამ მეცნიერებამ ჯერ ვერ შეძლო საბოლოო პასუხის გაცემა ამ კითხვაზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ: მალტ-ბრიონი, ტ. V; ბ-ნ ჰუმბოლდტის შრომები; * ასევე, Fischer, *Conjectures sur l'origine des Américains*; Adair, *History of the American Indians*.

ყველებაში ვლინდება; ისინი ერთსა და იმავე დროს უტიფარი და ფლიდები ხდებიან.

ნათქვამის ქვემარტივება ადვილად დასტურდება დაკვირვებით: ხალხი ბევრად უფრო მანკიერია არისტოკრატიულ ქვეყნებში, ვიდრე სადმე სხვაგან, მდიდარ ქალაქებში უფრო მეტი დამნაშავეა, ვიდრე სოფლებში.

როგორც ვთქვით, იმ ადგილებში, სადაც ბევრი მდიდარი და ძლიერი ადამიანი ცხოვრობს, სუსტები და ღარიბები თავიანთივე დაბალი მდგომარეობის გამო თავს დაჩაგრულად, დათრგუნულად თვლიან. რაკი ვერ ახერხებენ უფლებრივ-ქონებრივი თანასწორობის მიღწევას, სრულიად კარგავენ რწმენას საკუთარი თავისადმი, უიმედობასა და სასოწარკვეთას ეძლევიან, რაც მათ ბუნებაში ყოველგვარ ადამიანურ ღირსებას აკნინებს.

ხსენებულ ველურთა ყოფაში არ გვხვდება სოციალურ მდგომარეობათა ასეთი აუტანელი სხვაობა: ინდიელები, მიუხედავად მათი გაუნათლებლობისა და სიღარიბისა, ყველანი თანასწორნი და თავისუფალნი არიან.

როდესაც ევროპელები გამოჩნდნენ, ჩრდილოეთ ამერიკის მკვიდრმა ჯერ კიდევ არ იცოდა სიმდიდრის ფასი და გულგრილი იყო იმ კეთილდღეობისადმი ცივილიზებული ადამიანი სიმდიდრის მეშვეობით რომ აღწევდა. ინდიელის ხასიათი ანკარა იყო. მისი მოქმედება გამოირჩეოდა შინაგანი თავდაჭერილობით და ერთგვარი არისტოკრატიული თავაზიანობით.

მშვიდობიანობის ჟამს სათნო და სტუმართმოყვარე, ბრძოლაში დაუნდობელი ინდიელი, ერთი მხრივ, მზად იყო შიმშილით მომკვდარიყო და დახმარებოდა უცხოს, სალამოს მისი ქოხის კარს რომ მიაღებოდა და, მეორე მხრივ, სასტიკად გასწორებოდა ტყვეს – საკუთარი ხელით ცოცხლად დაეგლიჯა იგი. ანტიკური სამყაროს ჩვენთვის ცნობილ არც ერთ რესპუბლიკაში არ უცხოვრია უფრო უშიშარ, ამაყი სულისა და თავისუფლების ჯიუტად დამცველ ადამიანებს, ვიდრე ახალი სამყაროს ველური ტყეების მკვიდრი ინდიელები იყვნენ.¹⁷

ჩრდილოეთ ამერიკის სანაპიროზე გადამსხდარმა ევროპელებმა თითქმის არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინეს აბორიგენ მოსახლეობაზე: ამ უკანასკნელთ მათდამი არც შური აღძვრიათ და არც შიში; ან რა გავლენა შეეძლოთ მოეხდინათ ახალ მოსულებს ინდიელზე, რომელიც დიდი მოთხოვნილებების გარეშე ცხოვრობდა, ტანჯვაზე არ წუნუნებდა და სიმღერით კვდებოდა.¹⁸ ადამიანური მოდგმის მრავალრიცხოვან წარმოდგენელთა მსგავსად, ინდიელებსაც სწამდათ უკეთესი ქვეყნის არსებობა და ეთაყვანებოდნენ სამყაროს შემქმნელ ღმერთს, რომელსაც სხვადასხვა სახელით იხსენიებდნენ. დიდ სულიერ ქვემარტივებებზე მათი წარმოდგენები მარტივ ფილოსოფიურ განსჯას ეფუძნებოდა. [D]

რაოდენ პრიმიტიულიც არ უნდა ჩანდეს ის ხალხი, რომლის ხასიათსაც აქ აღვწერთ, მაინც უეჭველია ის, რომ ამ ტერიტორიაზე ინდიელებამდე სახლობდა სხვა, უფრო ცივილიზებული, ყველა მიმართებით უფრო განვითარებული ხალხი.*

ატლანტიკის სანაპიროზე მცხოვრებ უმეტეს ინდიელ ტომთა შორის გავრცელებულია ძალზე ბუნდოვანი გადმოცემა: ოდესღაც, რომელიღაც ხალხი ცხოვრობდა მდ. მისისიპის დასავლეთით. მდინარე ოჰაიოს გაყოლებაზე და მთელ ცენტრალურ ხეობაში ჯერ კიდევ შეხვდებით ადამიანის მიერ აღმართულ პატარა გორაკებს, რომელთა შუაგულში, როგორც წესი, ჩამარხულია ადამიანის სხეულის ძვლები, რაღაც უცნაური საგან-ხელსაწყობები, ყოველგვარი საოჯახო ჭურჭლეულობა, რაღაც ლითონისაგან დამზადებული, ადამიანთა თანამედროვე რასებისათვის უცნობი დანიშნულების საბრძოლო იარაღები.

თანამედროვე ინდიელებს არ ძალუძთ, მოგვანოდონ რაიმე ცნობა ამ უცნობი ხალხის ისტორიაზე. მათაც, ვინც სამი საუკუნის წინ ამერიკის აღმოჩენის დროს ცხოვრობდნენ, არავითარი

17 პრეზიდენტი ჯეფერსონის* თანახმად (*Notes sur la Virginie*, p. 148), იროკეზთა შორის, რომელთაც თავს დაესხნენ სიძლიერით ბევრად აღმატებული მონინალმდეგეები, იყვნენ ისეთი მოხუცები, რომელთაც ამაყად განაცხადეს უარი გაქცევაზე, მათ არ ისურვეს სიცოცხლე თავიანთი მშობლიური მხარის განადგურების შემდეგ; ისინი საერთოდ არად აგდებდნენ სიკვდილს, გალების მიერ ალყა შემორტყმულ რომში მყოფ ძველ რომაელთა დარად. იქვე 150 გვერდზე პრეზიდენტი ჯეფერსონი წერს: „შემთხვევა არ ყოფილა, რომ მტრის ხელთ ჩავარდნილ ინდიელს სიცოცხლის შენარჩუნება ეთხოვოს. პირიქით, იგი თითქოს ეძებს კიდევ გამარჯვებულთა ხელიდან სიკვდილს, რისთვისაც იგი ყოველმხრივ შეურაცხყოფს და აქეზებს გამარჯვებულს.“

18 V. *Histoire de la Louisiane*, par Lepage-Dupratz; Charlevoix, * *Histoire de la Nouvelle- France*; Lettres du R. Hecwelder, * *Transactions of the American philosophical Society*, v. I; Jefferson, *Notes sur la Virginie*, p. 135-190. ჯეფერსონის სიტყვებს ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს თუ გავითვალისწინებთ მის პირად დამსახურებას, განსაკუთრებულ მდგომარეობასა და ეპოქის პოზიტიურ თუ რეალურ თავისებურებებს.

მონაცემები არ დაუტოვებიათ, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ხსენებული აბორიგენების შესახებ რაიმე ჰიპოთეზის აგება. გადმოცემები, პირველყოფილი სამყაროს ეს წარმავალი და გამუდმებით აღმოცენებადი ძეგლებიც ასევე არაფერს არ ჰფენს ნათელს. მიუხედავად ამისა, ჩვენი მსგავსი ხალხი მკვიდრობდა იქ; ეს უეჭველია. მაგრამ როდის გაჩნდნენ ისინი ამ მხარეში, როგორი იყო მათი დასაბამი, მათი ხვედრი, მათი ისტორია? როდის და როგორ ამოწყდნენ ისინი? ამის თქმა დღესდღეობით არავის ძალუძს.

უცნაურია! არსებობდნენ ხალხები და ისე აღიგავნენ პირისაგან მიწისა, რომ მათი სახელიც კი წაიშალა; დაიკარგა მათი ენები, მათი დიდება კი ისე ჩაქრა, როგორც ხმა ექოს გარეშე. მაგრამ მე არ ვიცი არც ერთი ისეთი ხალხი, ვისაც ამქვეყნად ერთი საფლავი მაინც არ დაეტოვებინოს თავისი არსებობის სახსოვრად. გამოდის, რომ კაცობრიობის ქმნილებათაგან ყველაზე დღევრძელი არის ის, რომელიც სხვებზე უკეთ მოწმობს თვით ადამიანის წარმავლობასა და უმწეობას.

ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი ვრცელი მხარე დასახლებული იყო მრავალი ადგილობრივი ტომით; თამამად შეიძლება ითქვას, რომ ევროპელების მიერ მისი აღმოჩენის დროს ის ნამდვილ უდაბნოს წარმოადგენდა, თუმცა ინდიელებს ეკავათ, მაგრამ არ ფლობდნენ მას, რადგან მხოლოდ მიწათმოქმედება ხდის ადამიანს მიწის მესაკუთრედ. ჩრდილოეთ ამერიკის პირველი ბინადარნი ნადირობით ირჩენდნენ თავს. მათთვის დამახასიათებელი აულაგმავი ვნებები და მდგრადი ცრურწმენები, მანკიერებები და, ალბათ, უფრო მეტად ველური სიკეთე, გარდუვალ დაღუპვას უმზადებდა მათ. როგორც კი ევროპელები ამერიკის სანაპიროებს მიადგნენ, ინდიელთა ტომების განადგურებაც დაიწყო; ეს პროცესი აქამდე არ შეწყვეტილა. განგებამ, რომელმაც ინდიელებს ახალი სამყაროს თვალგადაუწვდენელი სივრცე არგუნა, ეტყობა, ამ სიკეთითა და სიმდიდრით სარგებლობისათვის ძალზე ხანმოკლე დრო დაუნესა; აქ ისინი თითქოს რალაცის *მოლოდინში* ცხოვრობდნენ. ვაჭრობისა და მრეწველობისათვის ესოდენ ხელსაყრელი სანაპიროები, ეს წყალუხვი მდინარეები, ულვევი სიმდიდრის მქონე მდ. მისისიპის ხეობა და მთლიანად ეს კონტინენტი, თითქოს არარსებული დიდი ხალხისათვის იყო შექმნილი და ჯერჯერობით ცარიელ აკვნად მოჩანდა.

სწორედ იქ უნდა ეცადათ ცივილიზებულ ადამიანებს ახალ საფუძველებზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბება და მსოფლიოსათვის მანამდე განუხორციელებლად მიჩნეული თეორიების პირველად გამოყენებით კაცობრიობის განვითარების ისეთი გზით წარმართვა, რისთვისაც მთელი გარდასული ისტორია არანაირად მზად არ იყო.

ბრიტოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა
კვლევითი ინსტიტუტის მიერ გამომცემული სამეცნიერო სერიები
და მათ ფარგლებში გამოქვეყნებული ნაშრომების ნუსხა:

I. სამეცნიერო სერია „ფილოსოფია, სოციოლოგია, მედიის თეორია“:

- ტ. 1: ნიცშე საქართველოში. ეძღვნება თამაზ ბუაჩიძის ნათელ ხსოვნას, რედაქტორ-შემდგენი: თენგიზ ირემაძე, გამომცემლობა „არხე“, თბილისი, 2007, 246 გვ.
- ტ. 2: ფილოსოფია – დიალექტიკა – ლოგიკა. სავლე წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, რედაქტორ-შემდგენელი: ლალი ზაქარაძე და თენგიზ ირემაძე, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2008, 200 გვ.
- ტ. 3: სიცოცხლის ფილოსოფია. პრობლემები და პერსპექტივები, რედაქტორ-შემდგენელი: ლალი ზაქარაძე და მიხეილ გოგატიშვილი, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2009, 88 გვ.
- ტ. 4: ლალი ანთიძე: ნიკოლოზ ლოსკის ინტუიტივიზმი, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2010, 244 გვ.
- ტ. 5: **Philosophy in Global Change. Jubilee volume dedicated to the 65th anniversary of Burkhard Mojsisch.** Edited by Tengiz Iremadze in collaboration with Helmut Schneider and Klaus J. Schmidt, Tbilisi 2011, 436 pp.

II. სამეცნიერო სერია „ფილოსოფია დღეს“:

- თენგიზ ირემაძე:* ვალტერ ბენიამინი. ცხოვრება, მოღვაწეობა, აქტუალობა, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2008, 108 გვ.
- Tengiz Iremadze:* Der Aletheiologische Realismus. Schalwa Nuzubidse und seine neuen Denkansätze, “Nekeri”, Tbilissi, 2008, 117 S.
- ბურკჰარდ მოიზიში:* ჰუმანიზმის ეპისტემოლოგია, ინგლისურიდან ქართულად თარგმნა გიორგი ბარამიძემ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2009, 90 გვ.
- ჰელმუტ შნაიდერი:* ფილოსოფიური გეოგრაფია, გერმანულიდან ქართულად თარგმნა გიორგი თავაძემ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2010, 120 გვ.
- უდო რაინჰოლდ იეკი:* განაზრებანი ქართული ფილოსოფიის შესახებ, გერმანულ და ქართულ ენებზე, გერმანულიდან ქართულად თარგმნა ლალი ზაქარაძემ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2010, 88 გვ.
- ჰელმუტ შნაიდერი, ლალი ზაქარაძე, გიორგი თავაძე, დოდო ლაბუჩიძე, თენგიზ ირემაძე:* რა არის თავისუფლება? დიდი მოაზროვნეები თავისუფლების არსის შესახებ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2010, 144 გვ.
- გრიგოლ რობაქიძე და თანამედროვე აზროვნება,* რედაქტორ-შემდგენლები: მამუკა თავხელიძე, თენგიზ ირემაძე, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2011, 144 გვ.
- ვეროპული პასუხისმგებლობა.* მერაბ მამარდაშვილის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (14 დეკემბერი, 2010 წელი, თბილისი), რედაქტორ-შემდგენელი და წინათქმის ავტორი თ. ირემაძე, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2011, 224 გვ.

III. სამეცნიერო-მთარგმნელობითი სერია „ფილოსოფია-სოციოლოგიის კლასიკური და თანამედროვე ტექსტები. თარგმანები“:

ნიკლას ლუმანი: საზოგადოებრივი კომუნიკაციის სისტემის ცვლილებანი და მასობრივი მედია, გერმანულიდან თარგმნა დევი დუმბაძემ, გამომცემლობა „არხე“, თბილისი, 2007, 37 გვ.

ანრი ბერგსონი: ცნობიერება და სიცოცხლე, ფრანგულიდან თარგმნა დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიამ, გამომცემლობა „არხე“, თბილისი, 2007, 44 გვ.

კარლ შმიტი: ხმელეთი და ზღვა. მსოფლიო-ისტორიული განაზრება, გერმანულიდან თარგმნა გიორგი თავაძემ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2010, 180 გვ.

IV. ფრიდრიხ ნიცშეს რჩეული თხზულებები ქართულ ენაზე (აკადემიურ-კრიტიკული გამოცემა):

ტ. 1: **ფრიდრიხ ნიცშე:** Ecce homo. როგორ ხდება ადამიანი ის, რაც ის არის, გერმანულიდან თარგმნა, შენიშვნები და გამოკვლევა დაურთო გიორგი თავაძემ, ტომის რედაქტორები: თენგიზ ირემაძე, ლალი ზაქარაძე, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2011, 248 გვ.

გამოსაცემად მზადაა:

ტ. 2: **ფრიდრიხ ნიცშე:** კერპების მწუხრი, გერმანულიდან თარგმნა გიორგი თავაძემ, ტომის რედაქტორები: თენგიზ ირემაძე, ლალი ზაქარაძე.